



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №10. დეკემბერი. 2015.

# პირობაში უოჯა-ანაღ წჷღს!



ყოველი ახალი წლის დადგომა ახალ იმედებთან და უკეთესი მომავლის სურვილთან არის დაკავშირებული. გვიხარია, რომ გარკვეულწილად შევძელით ხელი შეგვეწყოს ახალგაზრდებისათვის უკეთესი სასწავლო გარემო შეგვექმნა ცოდნის მიღებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ჩვენი მთავრობისთვის და პირადად ჩემთვის განათლება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენ ბევრ საინტერესო პროექტს და ინიციატივას განხორციელებას ვგეგმავთ ახალ წელს. ჩვენ გვეკისრება მნიშვნელოვანი როლი — შევექმნათ ყველა პირობა, რომ სტუდენტმა ხარისხიანი განათლება მიიღოს და ამაში ჩავდებთ მთელ ძალისხმევას. გვაქვს თქვენი მონდომების იმედიც და ვფიქრობთ, რომ ერთად ყველაფერს შევძლებთ. განათლება და განათლებული ახალგაზრდობა — საქართველოს წინსვლის და წარმატების უცილობო წინაპირობაა. იყავით აქტიურები და ჩაერთეთ ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში. აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება. შემეცნების სიხარულით აღსავსე, წარმატებულ და საინტერესო წელს გისურვებთ.

**გიორგი ცაქალიაშვილი**  
აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი



## „ახალი წარმატებები ქვეყნისა და უნივერსიტეტის საქმიანობაში“

ახალი წლის დღეები, ახლის მოლოდინთან ერთად, გასული წლის შეფასებასაც გულისხმობს. 2015 წელი საიუბილეო გახლდათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. მთელი წლის განმავლობაში არაერთი სამეცნიერო თუ სპორტულ-კულტურული ღონისძიება ჩატარდა და თითოეული სასწავლებლის ადგილს მივსწვდით 80 წლის იუბილეს მიძღვნილი დღეს უკვე ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თარიღი, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი გამორჩეული უმაღლესი სასწავლებლის ადგილს მივსწვდით, ნამდვილად ღირსეულად აღვნიშნეთ, რისი გვირგვინიც ოქტომბერში ჩატარებული საჯარო ლექციები, სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სპორტული შეჯიბრებები, სამეცნიერო მიღწევათა გამოფენები, უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა და დასასრულ დასკვნითი საზეიმო საღამოც გახლდათ, რომელსაც სტუმრობდნენ საქართველოსა და აჭარის მთავრობის წევრები, საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტის ხელმძღვანელები, უცხოეთის არა ერთი უნივერსიტეტის წარმომადგენელი, დიპლომატიური კორპუსის წევრები და უბრალოდ უნივერსიტეტის მოამბეები და გულშემატიკეები. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საიუბილეოდ გამოვეცი თნი, რომელშიც ბევრი, აქამდე უცნობი სპორტეო მასალა შევიდა უნივერსიტეტის შესახებ, განსაკუთრებული ადგილი კი დაეთმოთ

იმ აღმზანებს, ვინაც დღემდე მოიტანა განათლების ეს კერა. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ შევეცადეთ არ დაგვეინყებინა ისინიც, ვინაც მრავალი წელი ამ კედლებში გაატარა და დღეს ჩვენი თანამშრომლების რიგებში აღ არიან. მათთან შეხვედრით გამოწვეული ემოციის დღესაც მავსებს. ჩვენ შევეცადეთ მცირედით მაინც აღვნიშნა თითოეული თანამშრომლის ღვაწლი. ამ გადასახედიდან ამაყი ვარ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით შევძელით და ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში ერთი ლამაზი ფურცელი ჩავეწერეთ. განსაკუთრებულად წარმატებული იყო გასული წელი როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულების სრულყოფითაც. სრულად გარემონტდა ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა, სადაც ერთიან სივრცეში განთავსდა გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრი, რომელიც აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკით. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე განისხნა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (ფაბ-ლაბი), რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დახმარებით ამოქმედდა. სრულად გარემონტდა რუსთაველის ქუჩაზე არსებული კორპუსის მეოთხე და მეხუთე სართულები, მთლიანად უნივერსიტეტში მოეწყო ღია ბიბლიოთეკები და

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)



ახალი წლის დადგომა ძველის შეფასებითა და ახალი იმედებით ვხვდებით. ეს ის დღესასწაულია, რომელსაც თითოეული ჩვენგანისათვის სიხარულის მოტანა შეუძლია. გასული წელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის საიუბილეო გახლდათ და მიხარია, რომ ჩვენ ყველამ ერთად წარსულის პატივისცემით 80 წლის ისტორიაში ჩვენი ადგილი დავიმკვიდრეთ, შევძელით ღირსეულად აღვნიშნა ეს

თარიღი და სათანადო პატივი მივუგვოთ თითოეული იმ ადამიანისათვის, ვინაც თუგინდ ერთი აგური დადო უნივერსიტეტის განვითარებისათვის. 2015 წელი წარმატებული გახლდათ სწავლების მხრივაც. აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის სისტემისა და სწავლებისა და შეფასების ახალი სისტემის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასწავლო პროცესის ორგანიზება და ხარისხი. მართალია იყო ხარვეზებიც, მაგრამ ისიც გვაქვს გააზრებული, რომ სწორედ მათი გაანალიზებითა და გამოსწორებით არის შესაძლებელი ახალი წარმატებების მიღწევა. მომავალი წელი უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. წინ აკრედიტაციის პროცესი გველის, სადაც ერთიანად უნდა ვიყოთ ჩართულები როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია. მჯერა რომ ჩვენ ერთად ამ ეტაპსაც ღირსეულად გავივლით და მომავალ წელს განახლებული საგანმანათლებლო პროგრამებით ვაგრძელებთ სასწავლო პროცესს. და ბოლოს მინდა დამეფიქროს ახალი წელი მივულოცო ჩემს ქვეყანას, ჩემს კუთხეს, ჩემს კოპნია ბათუმს, ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, მის ყველა გულშემატიკეებს, ყველას ვისაც ერგო პატივი ესწავლა და ემუშავა ამ კედლებში. განსაკუთრებულად მინდა მოგილოცოთ ჩემო ძვირფასო სტუდენტებო, რადგან თქვენ ამ უნივერსიტეტის დღევანდელი დღე და წარმატებული მომავალი ხართ. მინდა გისურვოთ სიკეთითა და სიხარულით სავსე წელიწადი. ბედნიერება და წარმატება თქვენს ოჯახებში. იხარეთ, იბედნიერეთ და იდღეგრძელებთ ქვეყნის საქეთილდღეოდ.

**ინგა შახილაშვილი**,  
რექტორის მოადგილე  
სასწავლო დარგში



ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, სტუდენტებო, წელს ჩვენი უნივერსიტეტი უკვე მეოთხმოცედი იუბილეს ახალი სასწავლო წლის დაწყებას... გასული ათეული წლების გადმოსახედიდან, უამრავი სათქმელი და წარმატება დაგვიგროვდა, რომლითაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულება თავს მოიწონებდა: ახალი აკრედიტირებული პროგრამები, გაზრდილი სტუდენტთა კონტიგენტი, ეროვნული თუ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების, გამოგონებების და პატენტების მატება. თუმცა, წარმატებები დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს, ჩვენს წინ ახალი გამოწვევებია, რომელთაც პასუხი ჭირდება, პასუხი, რომელიც ჩვენი ისტორიის ღირსეული გაგრძელება იქნება. მეგობრებო, გილოცავთ ახალი საიუბილეო სასწავლო წლის დაწყებას, ვისურვებთ ცოდნის მიღების დაუშრეტელი წყურვილი და მუხტი არ მოგვკლებოდეს, კიდევ უფრო შემართებით გვემრომოს ჩვენი მომავალი, განათლებული თაობის აღზრდისთვის და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ქვეყნის გამოვითარების და გაძლიერების რთულ გზაზე!

**ნათია ნიკლაშვილი**,  
პროფესორი  
რექტორის მოადგილე  
სამეცნიერო დარგში



## უნივერსიტეტი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. მომავალ მედიკოსებს სწავლის დანერგვა მოულოცეს და წარმატებები უსურვეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან გორგილაძემ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა მარინა ქორიძემ და პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიო ბერიძემ.

შოთა რუსთაველის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. მომავალ მედიკოსებს სწავლის დანერგვა მოულოცეს და წარმატებები უსურვეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან გორგილაძემ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა მარინა ქორიძემ და პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიო ბერიძემ.



ვანელმა სოფიო ბერიძემ. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამა პირველი ინტეგრირებული უცხოენოვანი უურიკულუმი რეგიონის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და ქმნის მყარ პლატფორმას სამედიცინო განათლების ინტერნაციონალიზაციისა და უცხოენოვან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 21 დეკემბერიდან სწავლას იწყებს 35 ინდოელი სტუდენტი, მომავალი წლიდან პროგრამაზე ჩარიცხება 100 უცხოელი სტუდენტი.

## თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის დასრულება და თანამშრომლობის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქვემო სილეზიის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა და საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი მომზადების ხელშეწყობა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეთოდური სიახლეების დანერგვა, საჯარო ლექციების ჩატარება და სხვადასხვა სახის კვლევითი და სამეცნიერო პროექტების ერთობლივი განხორციელება. მემორანდუმის ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკასა და სტაჟირებას გაივლიან პარტნიორი დაწესებულების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.



ინიციატივა ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიულ განვითარებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სრულყოფას. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საჯარო ლექციას წაიკითხა ვიზალიზირებული საკითხზე და დისკუსია გამართა. ვიზიტის ფარგლებში, უწყების პირველი პირი იურიდიული ფაკულტეტის სასამართლო საინიციატივო დარბაზს, კრიმინალისტიკის კაბინეტსა და იურიდიულ კლინიკას ეწვია.

სებულებების წარმომადგენლები ბსუ-ს სასწავლო პროგრამებს გაეცნენ და თანამშრომლობის პირობებზე შეთანხმდნენ. მხარეებმა მემორანდუმს ხელი სასტუმრო „პილტონ ბათუმი“ გამართული შეხვედრის შემდეგ მოაწერეს. დოკუმენტი მიზნად ისახავს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, სამეცნიერო პროექტების განხორციელებასა და გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას.

ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ერთობლივი კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებასა და გამოცდილების გაზიარებას. მხარეთა შეთანხმებით, დაიგეგმა პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინტერნეტბიბლიოთეკის დანერგვა, საგანმანათლებლო, მეცნიერული და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცვლა და გაზიარება.

## „ჯიოსელ-ჰაბი ბათუმი“

კომპანია „ჯიოსელის“ საგანმანათლებლო-შემეცნიერებითი პროექტის „ჯიოსელ-ჰაბი ბათუმი“ პრეზენტაცია ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღუტა სხორტლაძემ კომპანიის სხვა წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, განვითარების ტენდენციები და მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები წარუდგინეს. მათ ასევე ისაუბრეს ახალი თაობის ტელეკომზე, სმარტფონსა და მობილურტერმინალებზე, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე.



## მემორანდუმი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა და საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი მომზადების ხელშეწყობა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეთოდური სიახლეების დანერგვა, საჯარო ლექციების ჩატარება და სხვადასხვა სახის კვლევითი და სამეცნიერო პროექტების ერთობლივი განხორციელება. მემორანდუმის ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკასა და სტაჟირებას გაივლიან პარტნიორი დაწესებულების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

ინიციატივა ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიულ განვითარებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სრულყოფას.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საჯარო ლექციას წაიკითხა ვიზალიზირებული საკითხზე და დისკუსია გამართა. ვიზიტის ფარგლებში, უწყების პირველი პირი იურიდიული ფაკულტეტის სასამართლო საინიციატივო დარბაზს, კრიმინალისტიკის კაბინეტსა და იურიდიულ კლინიკას ეწვია.

## უნივერსიტეტი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია გაიხსნა. ფაბლაბი ხელს შეუწყობს ინოვაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესისა და აკადემიური სექტორის დაახლოებას, გააღრმავებს სტუდენტების სამუშაო გამოცდილებას და აამაღლებს მათი დასაქმების შანსს. ინოვაციური ლაბორატორიის გახსნის ცერემონიას უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ხალვაშმა, აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსაშვილი, აჭარის ა.რ. ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი დავით ბალაძე, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, ქალაქ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.



ლაბორატორია აღჭურვილია ულტრა თანამედროვე აპარატურით. ფაბლაბი დამონტაჟებული 3D პრინტერები, ლაზერული მჭრელი და სხვა პროგრამირებადი დაზგა-დანადგარები ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს პროდუქტის პროტოტიპირების, ტესტირებისა და მათი მცირე რაოდენობით წარმოების საშუალებას მისცემს.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში ნებისმიერ სტუდენტს საშუალება ექნება პრაქტიკულ და ბაზარზე ორიენტირებულ ცოდნის მიღებასთან ერთად გაეცნოს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს. ფაბლაბი ისინი პროექტებზე იმუშავებენ ბაზრის ლიდერი კომპანიების მიერ გამოყოფილ მენტორებთან ერთად. გარდა ამისა, მას შესაძლებლობა ეძლევათ შეისწავლონ და განავითარონ პროექტები ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობებისათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით გაიხსნა.



# „ახალი წარმატებები ქვეყნისა და უნივერსიტეტის საერთო დროს“

(დასაწყისი პირველი გვერდი)

თავისუფალ სივრცეებში განთავსდა ინტერნეტ-საიტები ჩართული კომპიუტერები, რომელთაც სარგებლობა და სასწავლო პროცესისათვის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ სტუდენტს. ამ სასწავლო ნივთსათვის მოეწყო ფიზიკის ლაბორატორია და მინერალოგიის კაბინეტი. სრულად გარემონტდა ბენზეს და სახლებში არსებული კორპუსი, სადაც განთავსდა მემორანული ტექნოლოგიების კვლევითი ინსტიტუტი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი სწორედ აქ გადმოვიტანეთ, რითაც გავაუმჯობესეთ მათი სასწავლო პირობები. გარემონტდა და ახალი აპარატურით აღიჭურვა სტომატოლოგიური კლინიკა. უნივერსიტეტში შეიქმნა უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელებას და ფსიქოლოგიური კლინიკა.

სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული მართვის სისტემა, რაც სასწავლო და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სწავლებისა და შეფასების სრულყოფას შეუწყობს ხელს. საუნივერსიტეტო მენეჯმენტის სრულყოფისათვის კი დაინერგა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რამაც ხელი შეუწყო საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის მობილობასა და ოპერატიულობას. სწავლებისა და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად შემოვიღეთ შეფასებისა და სწავლების მეთოდების ახალი სისტემა, რამაც განაპირობა სტუდენტების მეტი ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი დაბრუნება აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკებში. გარდა სასწავლო პროცესისა ჩვენმა სტუდენტებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მიაღწიეს კულტურისა და სპორტის სფეროშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია თეატრალური დასის გასტროლები პარიზსა და თბილისში და ფუტბალის გუნდის წარმატებები. წლების შემდეგ უნივერსიტეტში ისევ ამოქმედდა შეჯიბრებები მანსანკანში.

2015 წელს მნიშვნელოვანი ხელშეწყობები გაფორმდა უცხოეთის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან, რომელთა შორის გამოვყოფდი პოლონეთის რესპუბლიკის ქვემო სილეზიის სამთავრობო დელეგაციის ინიციატივით გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. სულ რამდენიმე დღის წინ კი გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, რომელიც, მინისტრის თქმით, იქნება ყველაზე ქმედითი და პრაქტიკაზე ორიენტირებული მემორანდუმი.

უნივერსიტეტი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან საჯარო ლექციებისა და საზაფხულო სკოლების ორგანიზების მიმართულებით. ამ ქვეპროგრამების ფარგლებში წარმატებით განხორციელდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლები კორპუსლინგვისტიკასა და ეკოლოგიაში და ჩატარდა საჯარო ლექციები სამართალმოდუნობის, ფსიქოლოგიისა და ლიტერატურის მიმართულებით.

პირადად მე აქტიურად ვიყავი ჩართული თითოეულ ამ პროცესში და მიმაჩნია, რომ მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ამ წარმატებების მიღწევა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ უფრო დიდი ნაბიჯებისათვის ვემზადებით. მომავალი წელს უნივერსიტეტს პროგრამული აკრედიტაციის გავლა უნევს. მიმდინარე წელს ჩვენ დავიწყეთ პროგრამების გადახალისება და სრულყოფაზე ზრუნვა. ძირითადი სამუშაოები უკვე ჩატარებულია და იმედი მაქვს ერთად შევძლებთ ამ მნიშვნელოვანი ეტაპის გადალახვასაც.

არც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ზრუნვას ვწყვეტთ. მომავალ წელს დასრულდება რუსთაველის ქუჩაზე არსებული კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რითაც შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების სასწავლო სივრცე. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგვიმტკიცდა 1 მილიონ 100 ათასი ლარის ოდენობის თანხა აგრარული და მემორანული ტექნოლოგიების მიმართულების ლაბორატორიის შესაძენად, რაც ხელს შეუწყობს როგორც სამეცნიერო კვლევების წარმოებას, ასევე სასწავლო პროცესის სრულყოფას აგრარული მიმართულებით.

დასასრულ მინდა დამდეგი შობა- ახალი წელი მივლოცო სრულიად საქართველოს, მის თითოეულ მოქალაქეს, აჭარას, ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, მის თითოეულ სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელს, თითოეულ თანამშრომელს. ვუსურვო სიკეთე, სიხარული, წარმატება და ბედნიერება, ოჯახების სიძლიერე და ჯანის სიმრთლე. ჩვენ მნიშვნელოვანი წელი გველოდება და მინდა გისურვოთ ახალი წარმატებები ქვეყნისა და უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ. მგერა, რომ ჩვენ ერთად, ერთიანი ძალისხმევით ახალ სიმაღლეებზე ავაღწიო და მომავალ წელს კიდევ უფრო დიდი წარმატებებით შევგებებით.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ხალვაში**



მართალია, ჩემთვის ახალი წლის მოსვლას უკვე ბავშვობის ემოციური განცდები, იდუმალეზა და თოვლის ბაბუას მოლოდინი აღარ ახლავს, მაგრამ განსაკუთრებული ელფერი და ბრწყინვალეობით მაინცაა შემოსილი.

ვულოცავ ჩემს მშობლიურ და საყვარელ უნივერსიტეტს, ჩემს მეგობრებს, ჩემს საქართველოს დამდეგ - 2016 წელს. პოეტური წარმოსახვა მაინც არ მეშვება და როცა, ხანდახან დამე შემღვიძლება, ფიქრები უგზოუკვლოდ წამიყოლიებენ... მაღალი ცა იდუმალეზის განცდას აღვიძებს... მგონია, სადაცა ზანზალაკების წერილით ჩამიქროლებს ციურთი, ირმებშემბული მარხილი და თოვლის ბაბუა კეთილი, თბილი ღიმილითა და მზერით გადმომხედავს, მეერ ყველა იმ ადამიანს, დიდსა თუ პატარას ესტუმრება, რომელთაც სჯერათ სასწავლისა. ანდრე მორუასი არ იყოს: „რომანტიკა და რომანტიზმი ხომ მუდამ იარსებებს იმათთვის, ვინც ამის ღირსია“.

ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, მის კედლებში ღირსეულად და ჩემი პროფესიისადმი უზომოდ დიდი სიყვარულით გავატარე ჩემი ცხოვრების 31 საუკეთესო წელი, არც უნივერსიტეტიდან მომკლებია სიყვარული, ამიტომაც ვრჩები დღემდე მისი ერთგული, მოყვარული და პატივისცემული.

ჩემო ძვირფასებო, ლექტორ-მასწავლებლებო, ასპირანტებო და რაც მთავარია, სტუდენტებო, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალი თქვენს ხელთაა, ამიტომაც, მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, ცოდნის გადაცემისა თუ დაუფლებელს დაუოკებელი წყურვილი, ახალი სიმაღლეებისა თუ წარმატებებისკენ სწრაფვა. დაე, რამდენი ფიქრიც ცას ჩამოსწყდება ამ ახალ 2016 წელს იმდენი სიხარული, ბედნიერება და გამარჯვება თქვენ და სრულიად საქართველოს, ჩემო კარგებო.

**გელა ძვამში,**

პოეტი და საზოგადო მოღვაწე „ოლეს“, მარიკა ბარათაშვილის, „უქიმერიონის“, ზურაბ გორგილაძის, „პოეზიის დღე- შოთაობის“ და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი

**Congratulations to Batumi State University on achieving its 80th anniversary. This milestone offers a wonderful opportunity to reflect upon the University's history and the important contributions it has made to the personal and academic development of many students, past and present. As you mark 80 years of success, you have every reason to be proud of the University's past and excited about its future. I am certain that Batumi State will continue its vocation of preparing students to engage successfully with the world for many years to come.**

**მანიკლ შიკერსი**

ვულოცავ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 80 წლის იუბილეს. ეს მრგვალი თარიღი მშვენიერ შესაძლებლობას გვაძლევს რომ შევავასოთ უნივერსიტეტის ისტორია და მისი მნიშვნელოვანი როლი მრავალი სტუდენტების აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაში, როგორც წარსულშიც და ასევე დღესაც. თქვენ აღნიშნავთ უნივერსიტეტის 80 წლის წარმატებებს და თქვენ ყველა უფლება გაქვთ იამყყოთ მისი წარსული მიღწევებით და იმედინად შეეყურებოდეთ მომავალს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბათუმის უნივერსიტეტი გააგრძელებს შრომას რათა მომავალშიც წარმატებით მოამზადონ სტუდენტები გარესსამყაროში თავიანთი წვლილის შესატანად.

**Professor Michael Vickers**  
Jesus College  
Oxford OX1 3DW



## თანამშრომლობის მემორანდუმი აკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან



აჭარის ა.რ. ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი დავით ბალაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს მერაბ ხალვაშს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. უწყების პირველმა პირმა მომავალ ეკონომისტებს სამინისტროს პროექტები და სამომავლო პერსპექტივები გააცნო. ბათუმში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ფილიალის ბაზაზე შეიქმნება გადამზადების პროგრამა, სადაც ეკონომიკის მიმართულები-სა და სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები

საჯარო სექტორში დასაქმებისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ კურსს გაივლიან. შეხვედრის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ვლადიმერ ლლოტმა და აჭარის ა.რ. ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა დავით ბალაძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მხარეთა შეთანხმებით, ეკონომიკისა და ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები პრაქტიკასა

და სტაჟირებას გაივლიან პარტნიორ დაწესებულებაში. ინიციატივა ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიულ განვითარებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სრულყოფას. ხელშეწყობის მიხედვით, ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები ხელს შეუწყობენ სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურების საჯარო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლებას და აქტიურად ჩაერთვებიან უწყების ინიციატივით ჩატარებულ სოციალურ კვლევებში.

## ფრანგული ინსტიტუტის აბაჟუს ვიზიტი

ფრანგული ინსტიტუტის საელჩოს ატაშე საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხში კოლა კაბრიელი საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ლინგვისტური და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ ქეთევან ქურციკიძესთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან მერაბ ხალვაშთან, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან ნანა ყურაშვილძესთან, პრეზიდენტის მოადგილეს ხელმძღვანელთან ნატალია სურგულაძესთან გამართულ შეხვედრაზე სტუმარმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. დაიგეგმა გაცვლითი პროგრამებისა და მობილობის ხელშეწყობა, ერასმუს+-ის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დამყარება და საფრანგეთის უნივერსიტეტებთან მემორანდუმის გაფორმება. მხარეთა შეთანხმებით, სამაგისტრო პროგრამების ყველა მიმართულების სტუდენტებისათვის ამოქმედდება საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი სტიპენდიები, შემუშავდება და განხორციელდება ერთობლივი პროექტები.

ვიზიტის ფარგლებში ფრანგული ინსტიტუტის ატაშე საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხში კოლა კაბრიელი ფრანგული დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა და ფრანგული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებს გააცნო. ღონისძიების დასრულების შემდეგ, კოლა კაბრიელმა საერთაშორისო გამოცდა „DELF“-ის მონაწილე ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში მოსწავლეებს სერტიფიკატები საზეიმოდ გადასცა.





# ენის სინმინდის დაცვა

## თითოეული ქართველის პალია

— ბატონო მამია, თქვენ პირველკურსელებს ასწავლით. აქედან გამომდინარე, როგორ შეაფასებთ ქართული ენის სწავლების დონეს საჯარო სკოლებში?

— პირველკურსელებს, მომავალ ფილოლოგებს ვასწავლი „აკადემიურ ნერას“; ბუნებრივია, ვაკვირდები ქართული ენის მათი ცოდნის დონეს... სკოლებში ქართული ენის სწავლება სადმე მდგომარეობდა უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგად, როდესაც საჯარო სკოლაში „ქართული ენა“ ცალკე საგნად ისწავლებოდა მეხუთე-მერვე კლასებში, ინყებოდა ფონეტიკის საკითხებითა და მთავრდებოდა რთული წინადადებით, როდესაც აბიტურიენტი წერით და ზეპირ გამოცდას აბარებდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უფრო მომზადებული პირველკურსელები მოდიოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამისად, ჩვენც სხვა დატვირთვით ვმუშაობდით, დღეს სხვა რეალობა გვაქვს. ქართული ენის სწავლება საჯარო სკოლებში უნდა აღდგეს თავის უფლებებში, ცალკე საგნად უნდა შევიდეს საგანმანათლებლო პროგრამებში... უნდა შედგეს შესაბამისი სახელმძღვანელოები. ჩვენში არის ქართული ენის სახელმძღვანელოების შედგენის დიდი ტრადიცია: ჩვენს თაობას, უფრო ახალგაზრდებსაც, გვახსოვს აკად. აკაკი შანიძისა და პროფ. ლეო კვაჭაძის სახელმძღვანელოები, რომლითაც თაობები გაიზარდა... ახალ სახელმძღვანელოებში გათვალისწინებული უნდა იქნას არსებული გამოცდილება. დასაშვებად მიგვაჩნია ძველი სახელმძღვანელოების ხელახალი გამოცემა, პირველ ეტაპზე მაინც. მეორეცა და - კითხვას უნდა შეაჩვიოს სკოლა მოზარდი. ზოგადად, გადავწყვიტეთ კითხვას, რაც თავისთავად საფუძველია ენის ღრმა ცოდნისა. უნივერსიტეტში სწავლების დონეს გარკვეულად განსაზღვრავს სკოლა, მხედველობაში გვაქვს, რამდენად მომზადებული ახალგაზრდობა მოდის უნივერსიტეტში.

**ქართული ენის სინმინდის დაცვა თითოეული ქართველის ვალია. „მჯერა, რომ ისევ გამოჩნდებიან ერისკაცები, ისევ გაიმართება კამათი მამათა და შვილთა შორის და ენა „დაუბრუნდება განვითარების სწორ გზას.“ — გულისტკივილით აღნიშნავს პროფესორი მამია ფალავა, რომელიც ამავდროულად უნივერსიტეტებს დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს.**


— თქვენი თვალთახედვით, რა მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა?

— მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება ჩვენი ეპოქის პრობლემაა, თუმცა არა მხოლოდ ჩვენი ეპოქის. თუ ჩვენს ისტორიას გავიხსენებთ, საქართველოში ქართულ ენას სხვა დროსაც გასტირებია. შორს წახვალ არ დაგვიჩინდება, გავიხსენებთ მე-19 საუკუნე, განსაკუთრებით, 60-იანი წლები, ქართული ენის რეფორმა, მამათა და შვილთა „ბრძოლა...“ ქართულ ენას უჭირს დღესაც, ისევე, როგორც უჭირდა ძველად. გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ერთი ნათქვამი „ბაში—აჩუკიდან“: დარბაისლური ქართული სპარსულმა შექაქანებამ შეცვალაო კახეთში... არაფერი შეცვლილა ჩვენს ცნობიერებაში: დღესაც კარგ ტონად, „მაღალი განათლების“ მაჩვენებლად, ითვლება საუბარში უცხოური სიტყვების გამოყენება. თუმცა მე თუ მკითხავთ, ბარბარიზმების გამოყენება სრულბრძოლა არაა განათლების მაჩვენებელი, უფრო პირობითია საქმე. და კიდევ, ნურაინ იფიქრებთ, რომ ვინმემ საუბარში უცხოური ლექსიკა თუ გამოიყენა, „გამადიდრა“ მშობლიური ქართული, სხვების აზრით, კიდევ „დააბინძურა“ ენა. ენის ისტორია გვიჩვენებს, რომ ინდივიდების მიერ უცხოური ლექსიკის გამოყენება, სრულბრძოლა არ ნიშნავს, რომ ენაში ეს სიტყვები შემოვიდა და დამკვიდრდა. სიტყვის გამოყენებიდან სესხებამდე გრძელი გზა გასავლელი. თუ არ

სტირდება, ენა არ მიიღებს უცხო სიტყვას, მაღვე „მოინელებს“ და დაივინებს, თუმცა ასეთი „გაქნეული სიტყვები“ (სინტაგმა ქობულთელი მუჰაჯირთა შთამომავალს ეკუთვნის — მ.ფ.) დარჩება დღევანდელი პრესის ენაში, როგორც დოკუმენტი ჩვენი კულტურისა, ჩვენი განათლებისა, უფრო უკულტურობისა და გაუნათლებლობისა.

ქართული სალიტერატურო ენის პრობლემები მხოლოდ ბარბარიზმებით არ შემოიფარგლება. ქართულად სწორად წერა და სწორმეტყველება გვიჭირს ქართველებს. დასტურად ჩვენი პრესის ენაც გამოდგება. აქვე გავიხსენებ ერთ საინტერესო წიგნს, რამდენიმე წლის წინ რომ დაისტამბა ჩვენთან. მხედველობაში მაქვს ქალბატონ მერი ცინცაძის ნაშრომი „ქართულად ხსნილად უბნობი“ (ბათუმი, 2013 წელი). წიგნი ქართული პრესის ენაზე ავტორის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია. საქმის დროს ცოდნითა და ჩვეული პროფესიონალიზმით აღწერს მკვლევარი არსებულ რეალობას. რა სახის შეცდომას აღარ

მეტყველებზე, ვფიქრობ, ბუნებრივი მოვლენაა. ჩვენ ხომ ინფორმაციულ საზოგადოებაში ვგვიდებთ ცხოვრება. ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი სიტყვები მოიტანა, რომლებიც ენაში შემოვიდა და „დამკვიდრებას“ ცდილობს, მაგრამ დავიჯეროთ, ყველა ვერ დამკვიდრდება, ენა მხოლოდ იმას მიიღებს,



შეხვდება კაც: უზუსტობანი გვხვდება ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე... ასეთი ნიშნების დახურვის საჭიროება რომ არ იარსებებს, მაშინ ქართული ენის მდგომარეობა მისაღები და დამაკმაყოფილებელი იქნება. თუმცა ენას მოყურადე ყოველთვის უნდა ჰყავდეს. ენა მუდმივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს...

იციოთ რა? მშობლიური ენის სინმინდის დაცვა თითოეული ქართველის ვალია. ყველა თაობამ უნდა დაიცვას მშობლიური ენა და შეურყენელი გადასცეს მომავალ თაობას. და კიდევ ერთი რამ: თუ ძალიან გაუჭირდება საქართველოში ქართველებისაგან ქართულს, მჯერა, რომ ისევ გამოჩნდებიან ერისკაცები, ისევ გაიმართება კამათი მამათა და შვილთა შორის და ენა „დაუბრუნდება განვითარების სწორ გზას.“

ბარემ აღვნიშნავ, რომ ქართული ენისადმი ზრუნვის დადასტურება კანონი „ქართული ენის შესახებ“, რომელიც რამდენიმე თვის წინ მიიღო საქართველოს პარლამენტმა ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის ინიცირებით... ახლა მთავარია ამ კანონის განხორციელება. საამისოდ კი ერმა და ბერმა უნდა იზრუნოს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს უჭირს ქართულ ენას, მჯერა, რომ ჩვენი თაობა, ზოგადად, ქართული საზოგადოება, შეძლებს, დაიცვას იგი: დაიცვას მისი სინმინდი და გადასცეს მომავალ თაობას. ეს ჩვენი თაობის ისტორიული ვალიცაა.

— ახალგაზრდების მეტყველებაზე შეინიშნება სოციალური ქსელებისა თუ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გავლენა. უკვე მათთვის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულია: „ვპოსტავ“, „ვმესიჯობ“, „ვალაიქებ“, „დამიქოლინგე“ და მრავალი სხვა. თქვენი აზრით, რა კონკრეტული შედეგამდე შეიძლება მივყვანოთ ამან და რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საჭიროა მის აღმოსავლესკვლად?

მოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ხვალისდელი დღე ქართული ენისა ნათელია. ეს ზოგადად, ახლა კონკრეტულადაც: ზემოთ ვთქვი და ვიმეორებ: სკოლებში ქართული ენის სწავლება უნდა აღდგეს თავის უფლებებში, ქართველებმა მეტი უნდა ვიზრუნოთ, რომ უკეთესად ვფლობდეთ მშობლიურ ენას: ვისწავლოთ უცხოური ენები, მაგრამ უპირველესად ქართული; კითხვას გადავჩვენოთ კითხვას უნდა მივჩვიოთ, პრესამ, სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ ქართული ენის სინმინდის დასაცავად... უნდა აღდგეს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებასა და დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი. თუ პრობლემას ერთიანად მივუვლით, ყველა საჭირობო საკითხი მოგვარდება. მთავარი ერის ნებაა!

— ბატონი მამია ფალავას ერთი ჩვეულებრივი დღის ისტორია...

— არასოდეს მიფიქრია, ოდესმე თუ ჩემი ერთი დღის ისტორიის გაზრება დამჭირდებოდა. რა გითხრათ, დღეებში ერთმანეთს ჰგავს, ოჯახი, უნივერსიტეტი, ლექციები... თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს, თუმცა მაინც ვახერხებ, „მოვპარო“ საქმეს დრო და მეგობრებთან თუ ოჯახის წევრებთან გავატარებ რამდენიმე საათი. მიყვარს, მეხერხება და მსიამოვნებს კიდევ საოჯახო საქმის კეთება. ვნერ უმეტესად ღამით, როცა ოჯახში ყველას სძინავს და სიმშვიდეა. ისე, ყოველგვარ პირობებში შემოძლია ვიმუშაო, ხმაურში, სიცხეში...

— თქვენი წინასახალწლო სურვილები...

— ახლა იმ ასაკში არა ვარ, რომ თოვლის ბაბუას წერილი გავუგზავნო ჩემი სურვილები ჩამოათვალით, თუმცა სურვილები მეც მაქვს: მინდა რომ სიმშვიდე იყოს ქვეყანაში, ჩვენი შვილების თაობა დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრობდეს, კარგ, როგორც ახლა ამბობენ, ხარისხიან განათლებას ღებულობდეს ქართულ უნივერსიტეტებში და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას საკუთარ ქვეყანაში ახერხებდეს. ვისურვებდი, ყველა ოჯახში იყოს ხეავი და ბარაქა, ყველა ოჯახს ბედნიერი ახალი წელი გაუთენდეს და ჩემსაც... კიდევ რა გითხრათ, სურვილებსა და საოცნებებს არ დაუღვევს კაცს, მაგრამ ყველაფერს თოვლის ბაბუას ხომ არ მოვთხოვთ?

— როგორ მიულოცავთ დამდეგ შობა ახალ-წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს?

— უნივერსიტეტი ჩემი მეორე ოჯახია. დამდეგ შობა—ახალ წელს ვულოცავ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, მის კოლექტივს, სტუდენტობას. ვისურვებ, ჩვენმა უნივერსიტეტმა უკეთესად შეასრულოს ის მისია, რაც მას აკისრია და რასაც ასრულებდა განვლილი ოთხმოცი წლის განმავლობაში; ვისურვებ, ჩვენმა სტუდენტებმა ჩვენს უნივერსიტეტში მიიღონ კარგი განათლება და გაიკვილონ გზა ცხოვრებაში; ვისურვებდი, ჩემმა კოლეგებმა შექმნან ახალი და საინტერესო ნაშრომები; ვისურვებ, გადრმაგდეს დიპლომი სტუდენტსა და პროფესორს შორის; ვისურვებდი, ჩვენმა ნაკვლებებმა თავისი კვალი დაამჩნიოს ქართული მეცნიერების განვითარებას... რა გითხრათ, ბედნიერი ახალი წელი გათენებოდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს...

## იმაღლით აღსავსე ღამღებ ახალ წელს გილოცავთ!



ჩემთვის, როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1954 წელს კურსდამთავრებულისა და ამ უნივერსიტეტში ათეული წლების მანძილზე მომუშავე ლექტორისათვის, მეტად ძვირფასი და სასიამოვნო მოვალეობა დამდევს 2016 წელი მივულოცო მშობლიური უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს—სტუდენტობას, ლექტორ—მასწავლებელთა შემადგენლობას, ტექნიკურ პერსონალს, ყველას ვინც უნივერსიტეტის სადარაჯოზე დგას და მას ემსახურება, ვინც ძალღონეს არ იმურებს მისი სახელისა და ღირსებისათვის, მისი ავტორიტეტის ამალღებისათვის.

ბათუმის უნივერსიტეტისათვის მეტად წარმატებული იყო გასული, 2015 წელი. ეს წელი ყველა უნივერსიტეტელსა და გულშემატკივარს დამახსოვრდება როგორც მისი დარსების 80 წლისთავის წელი, რომელმაც მაღალ საზღვარს ვითარებაში ჩაიარა და ფართო წარმომადგენლობით აღინიშნა. ეს კი უნივერსიტეტის, მისი ყველა თანამშრომლის დიდი ძალისხმევითა და გარჯის შედეგი იყო. ბათუმის უნივერსიტეტის ამ წარმატებებში დიდი რამეც მისი ინსტიტუტების, რომლებიც 2011 წლიდან ამ უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია, მათ შორისაა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, რომელმაც კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი.

ვისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, რაზეც ყოველი თქვენგანი ოცნებობს. დოკლატიანი და ხვა-ბარაქიანი ყოფილიყოს ახალი წელი თქვენი და ჩვენი ოჯახებისათვის, მთელი ქვეყნისათვის. 2016 წელი ყოფილიყოს დასაწყისი იმისა, რომ ქართველ კაცს სხვაგან არ დასჭირდეს გადახვეწა. ეს წელი ყოფილიყოს ჩვენთვის ზნეობრივი, გონიერი და სულიერი ამალღებისა, ახალი ეტაპის დასაწყისისა საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერების გზაზე.

წოდარ კხნიკიძე

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის სამეცნიერო სამსახურის თავმჯდომარე. 25.XII. 2015 წელი



უპირველესად ვულოცავ ქალბატონ მერის იუბილეს! მნიშვნელოვანი თარიღია, აქედან 60 წელზე მეტი უნივერსიტეტის კედლებში. განვილია გრძელი შემოქმედებითი ძიების გზა, აღსაყვავიერით, გარჯით, ზრუნვითა და... ზოგჯერ ბრძოლითაც (ჩვენი გზა ყოველთვის ივარდით არაა მოფენილი, ხანდახან ეკალი და ბაძვიც წამოგვედგება ხოლმე, რას ვიზამთ...), მაგრამ, უპირველესად, შრომითა და ფიქრით.

ქალბატონი მერის ცხოვრების ერთ მხარეს, სამეცნიერო მოღვაწეობას შევხებით მხოლოდ, მაგრამ ჩემი საუბარი ცალმხრივი იქნება, თუ არ ვისაუბრებ იუბილარის სავსე-შემკრებლობით საქმიანობაზე. ველზე მასალების შეკრება და კვლევა ერთიან პროცესად წარმოვიდგება.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სტუდენტობის წლებში ქ-ნი მერი შეხვდა დიდებულ მასწავლებელსა და დამრიგებელს ბატონ კონა გიგინიშვილს, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ბათუმის პედინსტიტუტში მოღვაწეობდა და რომელმაც ჩაუნერგა მომავალ მკვლევარს ქართული ენისა და სამეცნიერო ძიების სიყვარული. ხშირად ახსენებდა ჩვენთან საუბარში ქალბატონი მერი ბატონ კონას, როგორც დიდებულ ლექტორსა და გულსხმიერ ადამიანს. ამ გახსენებას უცრემლოდ არასოდეს ჩაუვლია...

პირველი შრომა სტუდენტობის წლებში დაწერა ბატონი კონას ხელმძღვანელობით: „დაკვირვებანი ბათუმის მკვიდრთა მეტყველებაზე“ (1952 წელი. მოხსენებად ნაიკითხა საქართველოს სსრ სტუდენტთა IV სამეცნიერო კონფერენციაზე სტალინში, აწინდელ ცხინვალში). 1952 წლიდან უნდა დავიწყებოთ მერი ცინცაძის სამეცნიერო მუშაობის ათეული.

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ახალგაზრდა მკვლევრის ნაშრომი: „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი“ (ბპი სტუდენტთა შრომები, I, 1954 წელი). ამ შრომით ქალბატონმა მერი ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას ამცნო სრულიად ახალი, განსაკუთრებული სტრუქტურული და ლექსიკური თავისებურებების მქონე დიალექტის შესახებ, თუმცა ჯერ შორს იყო „ახალ დიალექტამდე“, მკვლევარი კირნათ-მარადიდის მეტყველებას ქვემოაჭარულის ნაწილად მიიჩნევდა. მიზეზი ადვილი მისახვედრია, დასახელებული სოფლები ხომ აჭარის არ ადმინისტრაციულ საზღვრებშია. მეორეცა და იმხანად არავინ იცოდა, როგორ „ვაზირობდნენ“ კირნათ-მარადიდის ზემოთ ჭოროხის აყოლუბაზე...

ბარემ აღვნიშნავ, რომ 1951 წელს მერი ცინცაძემ კირნათსა და მარადიდში ჩაინერა დიალექტოლოგიური და ფოლკლორული ტექსტები, რომელიც თითქმის 50 წლის შემდეგ, 1998 წელს დაიბეჭდა „ქართული ენის სტრუქტურის საკითხების“ VII ტომში. ქ-ნი მერის მიერ ჩაწერილი ტექსტები სანდო წყაროა კლარჯული დიალექტის შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ამ ხეობის მკვიდრის მიერაა ჩაწერილი, რომელიც ზედმინდვილთა ალიქვამდა თანასოფელთა მეტყველებას. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კარგად შეძლო სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა საკვლევი სოფლები მეტყველების სურნელის ქალაქად გადატანა.

უკვე კალამნაცადი მკვლევარი ჩაირიცხა ქალბატონი მერი თსუ ასპირანტურაში „ძველი ქართული ენის“ სპეციალობით. სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუნიშნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორი ილია აბულაძე, ძველი ქართული და ძველი სომხური ენების აღიარებული მკვლევარი. უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად თსუ ძველი ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი აკაკი შანიძე. მისი მეთვალყურეობით ოსტატებოდნენ ახალგაზრდა მკვლევრები ქართულ ფილოლოგიაში. შეამჩნია ბატონმა აკაკიმ ასპირანტის კვლევა-ძიების უნარი და შესთავაზა თბილისში დარჩენა და მუშაობის იქ გაგრძელება... მოგახსენებთ, ასეთი შეთავაზებები შემთხვევით არ კეთდებოდა.

საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა და დაიცვა იოანე სინელის „კლემასის“ (სათნოების კიბე) ქართულ თარგმანებზე. ვიტყვით, რომ ძველი ქართული ენის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი დღესაც ელოდება დღის სინათლეს.



## მერი ცინცაძე - მკვლევარი

50-იანი წლების ბოლოს ქ-ნი მერი თანამშრომლობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლადგახსნილ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მონაწილეობს სავსე ექსპედიციებში. მე გამომიყენებია მის მიერ ჩაწერილი ზემოაჭარული (ფაჩხა, ძმაგულა) მასალები, როგორც სანდო წყარო სამხრული კილოების შესასწავლად (იხ. ბსკიფ, 7, 1958).

ჩვენი შეხვედრა, როგორც ლექტორისა და სტუდენტისა შედგა 1977-78 სას-

მერი ცინცაძეც. 1995 წელს ლაბორატორიის წევრებმა მოვანყვეთ პირველი კომპლექსური ექსპედიცია ტაოში. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ: მ. ცინცაძე, ლ. თანდილაძე, ელ. მაკარაძე, რ. დიასამიძე, მ. ფალავა (ხელმძღვანელი) და მძლოლი ტარიელ ნიჟარაძე. ექსპედიციის წევრი იყო ბატონი ნოდარ კახიძეც, ბოლო მომენტში ავადმყოფობის გამო ველარ შეძლო წამოსვლა. ძნელი დრო იყო. ბატონ აზიზს უნდა ვუმაღლოდეთ ამ ექსპედიციის ორგანიზებას: ჯერ გაჭირვებით გამოწახა ექსპედიციისათვის სახსრები, შემდეგ — ბათუმის საზღვაო პორტს თხოვა მიკროავტობუსი ჩვენს სამგზავროდ... ორი კვირა ისტორიულ ტაოში ვიმუშავეთ, ბინა ტაოს აწინდელ „დედაქალაქში“ იუსუფელში, პარხლისწყალზე გადადგმულ სასტუმრო „აიღინში“ დავიდეთ. ჩავიწერეთ მნიშვნელოვანი მასალები, რომელიც მოგვიანებით, 2005 წელს დავბეჭდეთ „კრებულის“ V ტომში ლექსიკონითა და მცირე განმარტებით.

ექსპედიციის წევრებს არასოდეს დაგვაგინყდება ტაოს ექსპედიცია, ტაოელეები და ტაოს მატერიალური კულტურის ძეგლები. განსაკუთრებით გამოვარჩევი ექსპედიციის ერთ დღეს, ფეხით რომ

გავიარეთ გზა ელიასხევიდან ბონმინდაზე და იქედან ცუცკეპარით ჩამოვედით ელიასხევიში, სადაც გველოდებოდა მანქანა. უჭირდათ ჩვენს ქალბატონებს (არც ჩვენ ვიყავით უკეთეს დღეში), მაგრამ არ დაუწუნუნიათ. ვინრო ბილიკებით ცნობისნადილით მივიწვედით წინ ელიასხევილი რეჯების მეგზურობით...

ქალბატონ მერისთან ერთად არაერთი ნაშრომი მაქვს გამოცემული, მათ შორის მონოგრაფიები „სამხრული კილოები

განი, ხელმძღვანელობდა ქართული დიალექტოლოგიის მიმართულებას. ქალბატონ მერისთან ერთად ექსპედიციებით მოვიარეთ შავშეთის, კლარჯეთის, ტაოს მეთურქულე და მექართულე სოფლები. იმდენი დრო გავატარეთ ველზე ერთად, რომ ერთმა ინფორმატორმა მითხრა: „ერთმანებ გავხართ, ერთმანეთის რახართ“, იმდენს დავდივართ, შესაძლებელია, დავემსგავსეთ-მეთქი კიდევ ერთმანეთს, — მივუგე შავშელ ქალბატონს.

ერთი ვრცელი საუბრის თემაა ჩვენი საქსპედიციო თავგადასავლები, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს. მხოლოდ ერთს გავიხსენებ, პარხალში რომ გადავგვხვდა პირველი ექსპედიციის დროს: პარხლის მონასტერს ვათვალიერებდით. საღამო ხანი იყო. ეკლესიის ეზოში შევედით. იქვე ძელსკამზე მოხუცი იჯდა, ბეჭერ სულემანოლი, დარდიანი შეჰყურებდა ტაძარს, ფიქრობდა... გამოველაპარაკეთ. ქართული არ იცოდა, მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს გამოთქვამდა: წყალი, მარლი, პური... მასთან საუბრიდან ერთი მომენტით არ მაგინყდება: თქვენ რუსეთი არჩიეთ და იმიტომ ვართ ამ დღეში, გვისაყვედურა ბატონმა ბეჭერმა. ცრემლი მოადგათ ქ-ნი მერისა და ლილეს. „ისხელი ერთია და იმიტომ ტირითო მოხუცმა.“ ასეთი ემოციური შეხვედრები არაერთი იყო ჭოროხის ხეობის სოფლებში...

დღესაც აქტიურად შრომობს ქალბატონი მერი. ბოლო პერიოდში ცალკე ნიგნად გამოაქვეყნა ლიტერატურული ქართულის საჭირობოროტო საკითხებზე თავისი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგები: „ქართულად ხსნილად უზნობდი!“ (თბილისი, 2013). შესანიშნავი ნიგნია, ქართული სიტყვის გულშემატკივარი ქეშმარიტი პროფესიონალის დაწერილი. როდესაც მთელი ნიგნი ნაკითხივით (ფრაგმენტები ნაკითხივით მქონდა სხვადასხვა დროს), ჩემს კუთვნილ ეგზემპლარს მივანერე: „ნეტავი არ დასჭირვებოდა ამ ნიგნის დაწერა ავტორს-მეთქი“. ჩვენმა დაუდევრობამ, მშობლიური ქართულისადმი ჩვენმა დამოკიდებულებამ დააწერიდა ეს ნიგნი ავტორს... ესაა ნიგნი გაფრთხილება, ნიგნი მონოდება ქართველისადმი, „ხსნილად ილაპარაკეთო ქართულად.“

ზემით მონოგრაფია „შავშეთი“ ვახსენე, ახლა „კლარჯეთზე“ ვმუშაობთ ერთად. დიას, ქალბატონი მერი ჩვენი სამეცნიერო პროექტის წევრია. ახალგაზრდაობაში მის მიერვე დაწყებულ საქმეს, მხედველობაში კლარჯული კილოს კვლევა მაქვს, აგრძელებს ჩვენს ჯგუფთან ერთად. ჩვენ ერთი უახლოესი პროექტი გვაქვს ერთად განსახორციელებელი, უფრო ორი, ერთად დავიწყეთ საქმე და, უფლის ნებით, ერთადვე მივიყვანოთ ბოლომდე.

ქალბატონ მერის კიდევ დასასრულებელი აქვს „სათნოებათა კიბის“ ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით... გვემეხები სხვაც გვაქვს, საინტერესო და ღირებული. ყველგან გვჭირდება მერი ცინცაძის თანადგომა და ჩვენთან ყოფნა...

ბოლოს ვიტყვი, რომ შემოქმედებითი ბიოგრაფია გრძელდება, იწერება ახალი გვერდები. გრძელდება ისეთივე სიფრთხილითა და შემართებით, როგორც ამ ექვსი ათეული წლის წინ დაიწყო... და, რაც მთავარია, ქ-ნი მერის ჯერ ბევრი აქვს სათქმელი, აქვს დასაწერი, საკვლევი, საძიებელი, ჩვენც შუა ასაკს გადაცილებული მონაფეხებს გვჭირდება დამრიგებელი და შემფასებელი, ცენზორი საუკეთესო გაგებით, უკეთეს ვის ვინაგრებთ.

ქ-ნი მერი! დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. ასაკი დროა, თქვენ მოხუცებული კი არა, ასაკოვანი ბრძანდებით, ახალგაზრდულად აზროვნებთ, დროს თვალს უსწორებთ (დასტურად თქვენი ბოლო ნაკვლევებიც კმარა), ესაა მთავარი. თქვენ სჭირდებით თქვენს ოჯახს, სჭირდებით ჩვენს უნივერსიტეტს, გვჭირდები ჩვენ!!!

**მამია ფალავა,**  
პროფესორი

**დგება ახალი წელი - XXI საუკუნის მე-16 წელი. ვაჯამებთ გაკეთებულს, მიღწეულს; ვისახავთ ახალ ამოცანებს, ვადგენთ ახალ გეგმებს.**  
**მშობლიურ უნივერსიტეტს - 80 წლის იუბილარს, მის ხელმძღვანელობას, პედაგოგიურ კოლექტივს, ყველა თანამშრომელს ვულოცავ დამდევ ახალ წელს, ვუსურვებ წარმატებებს, ახალ სიმალეებზე ასვლას.**  
**საყვარელო სტუდენტებო! გილოცავთ, გისურვებთ სურვილების შესრულებას, ოცნებების ახდენას, წარმატებებს მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებაში! წიგნი გაგეხადოთ ცხოვრების თანამგზავრად!**

**მერი ცინცაძე**

წავლო წელს: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის“ კურსი წაგვიკითხა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის IV კურსს, შემოქმედებითი შეხვედრა-თანამშრომლობა კი დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში. დავინწყეთ იმით, რომ 1994 წელს ჩამოვყალიბეთ „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“ რომლის პროორიტეტად განისაზღვრა ჭოროხის აუზის ისტორიული ქართული ქვეყნების — აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი და ლაზეთის კვლევა. დამუშავდა კვლევის პროგრამაც: ისტორია — დოც. აბელ სურგულაძე, არქეოლოგია — პროფ. ამირან კახიძე, ეთნოგრაფია — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ კახიძე, ფოლკლორი — დოც. ელგუჯა მაკარაძე, დიალექტოლოგია, დოც. მამია ფალავა. ლაბორატორიის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის რექტორი ბატონი აზიზ ახვლედიანი. ლაბორატორიაში მოვიწვიეთ ქალბატონი

და ქართული სამწერლობო ენა“ (V-VIII სს. ბათუმი, 1998 წელი) და კომპლექსური მონოგრაფია „შავშეთი“ (თბილისი, 2011 წელი. სხვა თანაავტორებთან ერთად). პირველში პირველად დაისვა სამხრული კილოებისა და სამწერლობო ენის ურთიერთიმართების საკითხი, სხვაგვარად, ვცადეთ, გვეჩვენებინა ძველი ქართული სამწერლობო ენის ფორმირებაში სამხრული კილოების ნეოლი. საკითხი სწორად დაიხვია, კვლევები უნდა გავგრძელებდეს მომავალშიც, ახლა ხომ მეტად ვიცნობთ სამხრულ მეტყველებას, ვიდრე ვიცნობდით გასული საუკუნის 90-იან წლებში. მეორე მონოგრაფიაში კი — დავახასიათეთ შავშური კილო, ასევე გამოკვლევას დაეურთეთ შავშური კილოსა და ფოლკლორის მრავალფეროვანი მასალა ლექსიკონითურთ.

მერი ცინცაძე არის ბსუ მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის (ახლანდელი ქართველოლოგიის ცენტრის) პირველი თანამშრომელთა-



# მიღწეულის შეფასება და მომავალი წლის გეგმები

2015 წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სხვა მრავალ მიღწევასთან ერთად, სარემონტო სამუშაოებით თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მხრივაც მნიშვნელოვანი იყო. შესაბამისად, ერთი წარსულის შეფასება, მაგრამ მეორე და უმთავრესი — უფრო მეტი წარმატებული ნაბიჯი იგეგმება 2016 წლისთვის.

„უახლოეს მომავალში გველოდება აკრედიტაცია, ამიტომ დაუშვებელია მოდუნება და მხოლოდ მიღწეულზე შეჩერება. აუცილებელია უნივერსიტეტისათვის კიდევ უფრო მაღალი პრესტიჟის მოპოვება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და მთელმა ადმინისტრაციულმა პერსონალმა“, — აღნიშნა გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტთან“ დიალოგის დროს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა ჯემალ ანანიძემ, რომელიც ამ თანამდებობიდან უნივერსიტეტებს პირველად ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს.

— ბატონო ჯემალ, მოგესხენებათ მიმდინარე წელს სასწავლო პროცესი სარემონტო სამუშაოების გამო, დაგვიანებით დაიწყო. როგორ შეაფასებთ წლის ბოლოსთვის აღნიშნული საქმიანობის შედეგს?

— უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო წელი გარკვეული დრო-



ით, დაგვიანებით დაიწყო, რაც გამოწვეული იყო სასწავლო კორპუსების რეაბილიტაციით, თუმცა ძირითად სასწავლო პროცესს ხელი არ შეშლია. იყო გარკვეული დისკომფორტიც, ბუნებრივია, სწავლის პარალელურად სამშენებლო საქმიანობის წარმოების გამო. პირადად მე, მაღლობა მინდა გადაეფხადო სამშენებლო კომპანიას, რომელმაც დაჩქარებულად ჩაატარა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებსა თუ აკადემიურ პერსონალს, რომლებიც გაგებით ეკიდებოდნენ დროებით დისკომფორტს. საერთოდ უნდა ითქვას,

რომ სასწავლო პროცესი არ დაწყებულა კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, თუმცა უნივერსიტეტში გარკვეული ფართი სააუდიტორიო მეცადინეობისათვის ინტენსიურად დაგეგვრით.

უკვე წლის ბოლოა და უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის ძირითადი სამუშაოები დასრულებულია, გარდა გამონაკლისისა, ესაა უნივერსიტეტის ყოფილი საერთო საცხოვრებლის კორპუსი, სადაც პროექტის ძირეული ცვლილებების გამო მოგვინია მშენებლობის შეჩერება და მისი დასრულებისათვის განმეორებითი ტენდერის გამოცხადება, რომელიც სავარაუდოდ 2016 წლის მარტის თვეში დასრულდება. აღნიშნულ ფართში დაგეგმილია ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტისათვის დამატებითი ფართის გამოყოფა, აქვე განთავსდება უნივერსიტეტის არქივი, კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, უწყვეტი სწავლების ცენტრი, აუდიტორიები და სასტუმრო ნომრები 12 პერსონაზე.

სამუშაოებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აკმაყოფილებს საპროექტო მოთხოვნებიც, უკვე ექსპლუატაციაში შევიდა გრიშაშვილის ხუთ ნომერში არსებული კვლევითი ინსტიტუტის შენობა, სადაც სამეცნიერო მიმართულებას-

თან სწავლობენ ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები, აგრეთვე ფიროსმანის ქუჩაზე არსებული ტექნოლოგიური ფაკულტეტის კორპუსი და რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ძირითადი სასწავლო კორპუსის მეოთხე-მეხუთე სართულები. პარალელურად გარემონტდა ფიზიკის ლაბორატორიები, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მინერალოგიისა და სტომატოლოგიის ლაბორატორია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კლინიკა, მოეწყო სპორტული მოედანი, გარკვეულწილად მოწესრიგდა ადმინისტრაციული კორპუსის გარეფასადი და ეზოში მდებარე სკვერი.

— რამდენი ლარი დაიხარჯა რემონტისათვის?



— მთლიანობაში დასრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით ორი მილიონ ორასათასი ლარი

— როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კმაყოფილი ხართ თუ არა განუვლი საქმიანობით?

— დროის სიმცირის გამო ვერ გავწვდით დაგროვილი პრობლემების მოგვარებას, განხორციელებული ფაქტობრივად, აუცილებელი მოთხოვნა იყო და შეიძლება ითქვას,

დაგვიანებულიც, მაგრამ არ შეიძლება დავუკარგოთ მცდელობა და თანადგომა ადმინისტრაციულ პერსონალს, ინსტიტუტებს თუ ფაკულტეტებს, რომლებიც თავიანთ ძალისხმევას არ იშურებდნენ უკეთესი შედეგების მიღწევისათვის. ამიტომ ამ გუნდური მიდგომისათვის თითოეულ მათგანს ვუხედი მაღლობას.

— 2016 წლისთვის ცალკეულ კორპუსებსა თუ ფაკულტეტებზე, კვლავაც ხომ არ იგეგმება სარემონტო სამუშაოები?

— უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ უკვე დაამტკიცა მომავალი 2016 წლის ბიუჯეტი, სადაც მკაფიოდ დაფიქსირდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოგვეყოფა რვაასი ათასი ლარი სასწავლო კორ-

პუსის პირველი, მეორე და მესამე სართულების რეაბილიტაციისათვის.

— ბატონო ჯემალ, როგორ შეაფასებთ თქვენს საქმიანობას აღნიშნულ თანამდებობაზე?

— თანამდებობა საკმაოდ საპასუხისმგებლოა, მით უმეტეს, როცა რეგიონშიც იზრდება ინსტიტუტების რაოდენობა და კონკურენცია. უახლოეს მომავალში გველოდება აკრედიტაცია, ამიტომ დაუშვებელია მოდუნება და მხოლოდ მიღწეულზე შეჩერება. აუცილებელია უნივერსიტეტისათვის კიდევ უფრო მაღალი პრესტიჟის მოპოვება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და მთელმა ადმინისტრაციულმა პერსონალმა. უკვე განხორციელებული საქმიანობა ჩემი იმ სამოქმედო პროგრამის ნაწილი იყო, რაც წარვადგინე ამ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის დროს, რომელსაც უფრო დეტალურად შევხები წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე 2015 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის დროს.

— როგორ მიულოცავთ დამდეგ, 2016 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს?

— პირველად ვულოცავ ამ თანამდებობიდან უნივერსიტეტს ახალ წელს. რა თქმა უნდა, ვუსურვებ მთელ პერსონალს წარმატებას საუნივერსიტეტო და პირად ცხოვრებაში, მიღწეული შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესებას და მიზნების შესრულებას და რაც მთავარია, უმოკლეს პერიოდში იმ პრობლემების აღმოფხვრას და პროგრესს, რაც აუცილებელია თანამედროვე წარმატებული უნივერსიტეტისათვის.



## ჩემო ძვირფასებო!

გილოცავთ ახალი - 2016 წლის დადგომას. ეს წელი გამორჩეული იქნება თქვენს ცხოვრებაში. ბევრი ნატვრის და ოცნების, წარმატებული კვლევა-ძიების, დასახული ამოცანების და განუვლი დიდი შრომის ღირსეული შეფასების და დაფასების მომტანი ყოფილიყოს. მე მჯერა და მნამს, რომ თქვენ იქნებით სწორედ ის თაობა, რომელიც გარდაუვალად მიიყვანს ჩვენს ქვეყანას წარმატებასთან და მომავალი წელი ევროპასთან.

თან ვიზალიბერალიზაციით თქვენ დღემდე არნახულ შესაძლებლობებს და ჩვენი დიდი წინაპრების ოცნებად დარჩენილ ნატვრას ხელშესახებს გაგიხდის.

მინდა რომ ახალი წლის დღეებში დაივიწყოთ ყველაფერი და მაქსიმალურად ხალისით და გართობით გაატაროთ.

სამუდამოდ თქვენი მეგობარი პროფ. ა. ქაშიშაძე



## გილოცავთ...

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მე თანატოლები გახლავართ. მიხარია, რომ ჩემი არსებობა მთლიანადაა დაკავშირებული ამ ბრწყინვალე საგანმანათლებლო კერასთან. ვიყავი სტუდენტი, შემდეგ თანამშრომელი, აქედან წავედი ასპირანტურაში. დაბრუნების შემდეგ, აკად. ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, მიმყავდა ლექციების კურსი არქეოლოგიასა და საბერძნეთ-რომის ისტორიაში. ამ საუკუნის პირველი წლებისათვის ვმუშაობდი რექტორადაც. ამჟამად ვარ ემერიტუსი. ასე, რომ მე ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე დიდად ვარ დავალებული მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ. ძალას არ ვზოგავ სიცოცხლის ბოლომდე ვემსახურო თაობის აღზრდისა და ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიისა და კულტურის წარმოჩენას.

ჩემს კოლეგებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას მოვუწოდებ ერთი დღე არ გაგეტარებინოთ უშინაარსოდ, იდეალების გარეშე. დღეისათვის სასიკეთო საქმეთა კეთების ასპარეზი მეტად ფართოა...

ამირან კახიძე  
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი, ისტ.მეცნ.დოქტორი, პროფესორი





# სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის 6 თვე

სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობა რომ უდიდესი პასუხისმგებლობა იყო, ამას თავიდანვე ვაცნობიერებდი. ისიც კარგად მესმოდა, რომ თავმჯდომარის მოვალეობა მხოლოდ კარგი და საინტერესო იდეების პროგრამაში განერა არ იყო მთავარი, ამიტომაც მე ხელმძღვანელად მოსვლამდე არავინ მომიხილავს წინასწარი დაპირებებით. ვცდილობდი, ყოველთვის ვყოფილიყავი ზომიერი და არ მეთქვა არც ერთი ისეთი სიტყვა, რომლის განხორციელებასაც ვერ შევძლებდი, რა თქმა უნდა თვითმმართველობის წევრებთან ერთად, პირიქით, მიწოდდა ყველაფერზე საქმის გაკეთების შემდეგ მელაპარაკა. მეც ერთი რიგითი სტუდენტი ვარ და ვიცი, მესმის, თუ რა უნდათ

ნავე, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის თანადგომა, ყველაფერი გამოვა და სტუდენტთა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თვითმმართველობის დაფინანსებითა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელობით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 25-27 სექტემბერს შედგა, რომელიც უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობდა სხვადასხვა უნივერსიტეტის 90-მდე სტუდენტი და წარმოდგენილ ნაშრომთაგან მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით საინტერესო და გამორჩეული ნამუშევრები იბეჭდებოდა და მალე გამოვა კრებული სახით.

სტუდენტობა მხოლოდ სწავლა



რულთა და საზრიანთა კლუბი „პორტო-ფრანკო“ გავიდა ფინალში და თბილისში გამართულ შეხვედრას, რომელზეც წარმატებით გამოვიდა ჩვენი გუნდი, აქედან ჩასული 30 სტუდენტი გულშემატკივრობდა და ამხვევებდა მათ.

ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდობა აქტიურად არის ჩართული სპორტულ ცხოვრებაში, წელს განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ფეხბურთის ნაკრებმა. ისინი ნახევარფინალისტები გახდნენ და თბილისში თსუ-ს ნაკრებთან შესანიშნავი თამაში გვაჩვენეს. თვითმმართველობის ინიციატივითა და ხელშეწყობით ამ შეხვედრაზე დასასწრებად და ჩვენი გუნდის ბიჭების გასამხნეველად უნივერსიტეტიდან 120 სტუდენტი წავიდა.

იმისთვის, რომ უნივერსიტეტში არსებული ყველა სექტორი კარგად და წარმატებულად მუშაობდეს, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად შევხვდით უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლის — „ტბეთის“ ხელმძღვანელსა და მოცეკვავეებს, ასევე, „მზიარულთა და საზრიანთა“ გუნდის წევრებს, ფეხბურთის გუნდს, რაგბისა და კრივის ნაკრებებს, ვისაუბრეთ პრობლემებზე და დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

ბოლო თვეების განმავლობაში სტუდენტურმა თვითმმართველობამ მემორანდუმი გააფორმა რამდენიმე ორგანიზაციასთან, როგორებიცაა: ბათუმის სპორტულ-



დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩემს მშობლიურ ბათუმის უნივერსიტეტს, მის სტუდენტ ახალგაზრდობას, პროფესორებს, სასწავლებლის თითოეულ თანამშრომელს! წარმატებული და გამორჩეული წელი ყოფილიყოს 2016, განსაკუთრებით თქვენთვის, ჩვენო საამაყო ახალგაზრდებო! ბევრი რამ კარგი მინდა ვისურვოთ, თუმცა უპირველესად მაინც სწავლაში საუკეთესო შედეგი — 21-ე საუკუნე ხომ ცოდნას ეკუთვნის! მხოლოდ მაღალი განათლება მოგცემთ ცხოვრებაში წინსვლის და საუკეთესო პერსპექტივების დასახვის საშუალებას. თქვენ ჩვენი სამშობლოს სვალინდელი დღე ხართ და მჯერა, ყოველთვის იქნებით ლაღები, შეუპოვრები, წარმატებაზე ორიენტირებულები!

სიყვარულით და პატივისცემით,  
**დავით თედორაძე**  
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე



მათ, რა პრობლემები აქვთ, რის გაკეთება სურთ და რას მოითხოვენ, იმისთვის, რომ უკეთესი სტუდენტური ცხოვრება ჰქონდეთ. ამიტომ, პირველ რიგში, გადავწყვიტეთ სტუდენტთა სამეცნიერო კუთხით დაინტერესება და განვითარება, მათი ნახალისება და განუვლი შრომის დაფასება. ამისათვის დავგეგმეთ სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამართვა. გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, რომ ცოტა არ იყოს ვშობობდი, რამდენად მოვახერხებდით ამ რთული საქმის მოგვარებას, მაგრამ თუ დიდია სურვილი და მონდობა, ამასთანა-

არაა, ეს მთელი ცხოვრებაა, ამიტომ ამ კუთხითაც ბევრი რამ კეთდება. პირველკურსელებს ერთმანეთი უკეთ რომ გაეცნოთ და გამოველინათ თავიანთი შესაძლებლობები, თვითმმართველობამ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის დახმარებით, სასტუმრო „ლეოგრანდში“ მოაწყო წვეულება ე. წ. „წელცომე პარტი“ და ერთი დასამახსოვრებელი დღე აჩუქა მათ. გარდა ამისა, ყველა ფაკულტეტზე ჩატარდა „მზიარულთა და საზრიანთა“ კონკურსი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მხია-



საიუბილეო-საზეიმო განწყობა ჯერ კიდევ არ განვლებულა და უნივერსიტეტი ახალი წლის შემობრძანების მოლოდინშია.

ახალი 2016 წლით იწყება უნივერსიტეტის საუკუნოვანი არსებობის ოცნლედი. განვლილ რვა ათეულში შემოქმედებითი გარჯით სწავლებაში ბევრი მიღწევა ჰქონია. მიუხედავად ამისა, მავანთ ზოგჯერ მოსვლით აზრი, ამ უძველესი ტაძრის სხვაგან გადატანისა. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ორ ათეულმა წელმა, ამდგვარი ფიქრიც კი მოსპო. მითუმეტეს, უნივერსიტეტი შესამჩნევად გამშვენდებოდა — კეთილმოეწყო აუდიტორიები და კაბინეტ-ლაბორატორიები. გარეგნულადაც გალამაზდა, უფრო და უფრო ერწყმება ბათუმის ზღვისპირეთის, სილამაზით განუმეორებელ ლანდშაფტს.

სტუდენტ-ახალგაზრდობითაა გადაჭედული ეზო-კარი და აუდიტორიები.

ძვირფასო სტუდენტებო, უნივერსიტეტის თანამშრომლებო და კოლეგებო! დიადი მომავლის იმედის რწმენით, გილოცავთ შობა-ახალ წელს!  
**მირიან (მურმან) ღამბაშიანი**  
ემერიტუსი—პროფესორი

## უნივერსიტეტის ფუტსალის ნაჩვენის წარმატება

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის „საუნივერსიტეტო თასი - 2015“-ის ტურნირის მორიგი მატჩი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამარჯვებით დასრულდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუტსალის ნაკრებმა თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა ანგარშით 2:1. ბსუ-ს სტუდენტები „საუნივერსიტეტო თასი - 2015“-ის მოსაპოვებლად შეხვედრას ნახევარ ფინალში თბილისში, 14 დეკემბერს, 16:00 საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრებთან გამართავენ. შეჯიბრს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და კომპანია „მაგთის“ მხარდაჭერით ატარებს.



bsu.edu.ge



**ფილოსოფია დღეს**

ფილოსოფია, როგორც დისციპლინა, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების კენჯი ვიციკლება, სამყაროს უკეთეს ხედვას გვათავაზობს და ტოლერანტობასა და მშვიდობას უწყობს ხელს“ (იუნესკო, რეზოლუცია 33C/37).

„იუნესკოს მონოდეტა - ხელი შეუწყოს თავისუფალ აზროვნებას და ამით მშვიდობას მთელს მსოფლიოში, ისტორიული ფილოსოფოსობით მიიღწევა“ (პროფ. ბურკჰარდ მოიზიმი, გერმანია, 2009 წ.).

2019 წლის 19 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში UNESCO-ს რეგულაციებით გათვალისწინებული ფილოსოფიის პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ღონისძიება გაიმართა - ფილოსოფიაში ახალი პუბლიკაციების პრეზენტაცია. ფილოსოფიის სპეციალისტების სტუდენტებმა წარადგინეს ახალი თარგმანები, მნიშვნელოვანი ტექსტები, სამეცნიერო კრებული. ღონისძიება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა.

პროფ. ლალი ზაქარაძემ ისაუბრა ფილოსოფიის საერთაშორისო დღის ისტორიაზე, UNESCO-ს კულტურათა და ძეგლების საერთაშორისო ათწლეულის (2013-2022) მიზნებზე და ინიციატივებზე, თანამედროვე საზოგადოებისთვის ფილოსოფიისა და კრიტიკული აზროვნების როლსა და მნიშვნელობაზე, ფილოსოფიის უახლეს კვლევებზე, იმის შესახებ, თუ „რა მუდმილია და რა უნდა გააკეთოს დღეს ფილოსოფიამ?“. ღონისძიების დასრულების შემდეგ დაარბაში წარმოდგენილი ნიგნები, მათ შორის პოლიტიკური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი ტექსტები, კარლ შმიტის, ლეო შტრაუსის, ჰანა არენდტის, ჯონ დიუსის და სხვ. ტექსტების პირველი ქართული თარგმანები ჩააქრად გადაეცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში განხლებული ცხარე კამათი ფილოსოფიის როლსა და მნიშვნელობაზე, ფილოსოფიის ბედზე თანამედროვე საზოგადოებაში, დღესაც აქტუალურია. „რა არის ფილოსოფია?“ (კარლ იასპერსი), „რისთვის ფილოსოფია?“ (თეოდორ ადორნო), „მივიდა თუ არა ფილოსოფია დასასრულთან?“ (ვილი შოპენჰაუერი) — ეს კითხვები კვლავ აქტუალურად ფართო გამოძახილს პოულობს. მრავალი არათრეგაროვანი მიდგომისა და უკიდურესად განსხვავებული პასუხების მოხუცდავად, შეიძლება ითქვას, რომ „ფილოსოფია არის ყველაფერი, სადაც კი ადამიანები თავის უშუალო ყოფიერებას, აზრის მეშვეობით გააცნობიერებენ“ (კარლ იასპერსი). ამ აზრით, ის ყოველთვის თანამედროვეა.

თანამედროვე მეცნიერების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტრანსფორმაცია, კერძოდ კი, ფილოსოფიურ დისციპლინათა ტრანსფორმაცია განაპირობა. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ფილოსოფიური რეფლექსია განსაკუთრებით აქტუალური ბოლო პერიოდში გახდა. დასავლურ ფილოსოფიაში ბოლო ათწლეულში გაჩაღებული დისკუსიები ფილოსოფიის სრულიად ახალი პრობლემების შესახებ და ფილოსოფიის ახალი დარგების განვითარება (ინტერკულტურული ფილოსოფია, არქიტექტურის ფილოსოფია, ფილოსოფიური ურბანისტიკა, ფილოსოფიური გეოგრაფია, ნეიროფილოსოფია, მედიის ფილოსოფია და სხვ.) ამის თვალსაჩინო მაგალითია; ეს პროცესი, თავის მხრივ, ფილოსოფიის ნაკლებად ცნობილ პრობლემათა ახალ სექტორს წარმოაჩინა.

ადამიანს აქვს სურვილი, გაიგოს და გაიხაროს სამყაროსა და საზოგადოებაში თავისი ფუნქცია, იცხოვროს აზრის, სახეს ცხოვრებით. ამისათვის მას სჭირდება საგნებისა და საკუთარი თავის გაგება. თუ შენ ფილოსოფია არ გასმის, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი არსება კარგად გაგაცნობიერებული არა გაქვს და არ გასმის. ფილოსოფიის ამოცანაც ყოველთვის ის იყო, რომ იმეგარი კითხვები წამოეჭრა, რაც ადამიანისა და სამყაროს დაფარულ არსებას სწევდა. ფილოსოფია წინათ სწორედ ამის გამო იყო დაფასებული.

თანამედროვე საზოგადოებისთვის და მეცნიერების თანამედროვე სტრუქტურაში

რამი ფილოსოფიის როლსა და მნიშვნელობას ხაზს უსვამს იუნესკოს მიერ დღესდღეობით ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი „ფილოსოფიის დღე“ 2002 წ. დაწესდა პარიზში, იუნესკოს 33-ე გენერალური კონფერენციის (UNESCO General Conference) მიერ, ხოლო 2005 წლიდან იუნესკომ ეს დღე ოფიციალურად გამოაცხადა „ფილოსოფიის მსოფლიო დღედ“. ყოველი წლის ნოემბრის მესამე ხუთშაბათს იუნესკო საზივოდ აღნიშნავს ამ თარიღს.

ფილოსოფიის საერთაშორისო დღის დანესების იდეა საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური სოციო-კულტურული ცვლილებებისათვის საერთო პლატფორმის შემუშავებით არის მოტივირებული. ეს დღე ხელს უწყობს, რომ ადამიანები ეზიარონ მდიდარ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას და ადამიანური ყოფით აზროვნების სივრცე გაიხსნას ახალი იდეებისთვის. საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფია ხომ დასაბუთებული ანალიზის გზით ქმნიდა საფუძველს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნებისთვის. იუნესკოს მიერ მიღებულ 33C/37 რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ფილოსოფია, როგორც დისციპლინა, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების კენჯი ვიციკლება, სამყაროს უკეთესი ხედვას გვათავაზობს და ტოლერანტობასა და მშვიდობას უწყობს ხელს“. ისეთი ცნებების ზუსტად გამოყენება, როგორცაა „ლირსება“, „სამართლიანობა“, „პოლიტიკური სამართლიანობა“, „მორალური სრულყოფილება“, „სიქველე“, „აზროვნება“, „განსჯა“, „მსჯელობა“, „სისტიმა“, „მეთოდი“, ყოველთვის საჭიროებს ფილოსოფიის ისტორიის კარგად შესწავლას. სწორედ ამის გამო ფილოსოფიის მსოფლიო დღე მოგვიწოდებს ფილოსოფიურად ახლებური აზროვნებისკენ; ფილოსოფიის მსოფლიო დღეს ამით იმის გახსენებაც სურს, რომ საკუთარი თავი გავიხსენოთ. ახლებური აზროვნებისა და საორიენტაციო აზრების გარეშე ფილოსოფიის ისტორია და ფილოსოფია არ არსებობს; ფილოსოფიის ისტორია საერთოდ ფილოსოფოსობის არსებითი მომენტია. იუნესკოს მონოდეტა — „ხელი შეუწყოს თავისუფალ აზროვნებას და ამით მშვიდობას მთელს მსოფლიოში, ისტორიული ფილოსოფოსობით მიიღწევა“, — ასე გამოეხმიანა ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის (გრინოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი) მიერ საქართველოში 2009 წ. პირველად დაგეგმილ ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ღონისძიებებს პოპსურის რურის უნივერსიტეტის პროფესორი, ბურკჰარდ მოიზიმი.



**ფილოსოფიის მსოფლიო დღე 19 ნოემბერი**

ალანინშნავია, რომ დღესდღეობით ეს თარიღი ფართომასშტაბიანი ღონისძიებებით აღინიშნება მსოფლიოს 70 ქვეყანაში, განსაკუთრებით გერმანიაში. ფილოსოფიის მარადიული პრობლემების გაზარების დიდ მნიშვნელობას საზოგადოებისა და აზროვნებისათვის ხელს უწყობს იუნესკოს კათედრებიც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. იუნესკოს პარტნიორი ეროვნული ხელისუფლებები, სახელმწიფო ორგანიზაციები, იუნესკოს საკითხების ნაციონალური კომისიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, იუნესკოს კათედრები, ასოცირებული სკოლები და კლუბები, სადაც ხდება თავისუფალი და

განათლებული აზრის გამოვლინება, იღებენ რეკომენდაციას, ჩაატარონ ღონისძიებები ადგილობრივ, ნაციონალურ თუ საერთაშორისო დონეზე — ფილოსოფიური დიალოგები და კაფე-დისკუსიები, მრავალი მაგიდები, კონფერენცია-სემინარები, გამოფენები და პრეზენტაციები. აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიის მსოფლიო დღე ფართე საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. ამ დღეს ეხმანება არა მხოლოდ ფილოსოფოსები, არამედ საბუნებისმეტყველო თუ სოციალურ მეცნიერებთა, კულტურისა და განათლების სფეროს წარმომადგენლები.

ფილოსოფიის საზღვრები კი დღეს ძალიან გაფართოვდა. ამდენად, ფილოსოფიის მსოფლიო დღე თანამედროვე ინფორმაციულ სამყაროში ფილოსოფიის როლის ახლებური გააზრებას და სულ

იუნესკოს გენერალური მდივნის 2014 წლის მიმართვაში ვკითხულობთ: „ფილოსოფიის მსოფლიო შესაძლებლობას იძლევა კვლავაც დაადასტუროს კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესში. ეს ცვლილებები გვაძლავს ვეძიოთ სოცოცილის ახალი მეთოდები და შევეძინოთ უკეთესი სამართლიანი საზოგადოება. ამ ცვლილებებს შეუძლიათ შეაფერხონ ნდობა, შექმნან ახალი დაძაბულობა. ამ დროს ფილოსოფია ღირებული მოკავშირეა, რომელიც რეფლექსიურ განზრახვებსა და დიალოგის პრაქტიკას ყურდნობა. ამის საფუძველზე ჩვენ შესაძლებელია გვაქვს აღვიქვათ განსხვავებული აზრები და მიდგომები.“

ფილოსოფია გაცხდა აკადემიურ საზღვრებს, მან სხვადასხვა სფერო და პრობლემათა ფართო სექტორი მოიცვა. ამ კონტექსტში, ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემის ფართო სექტორს კარგად წარმოაჩენს ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი (დაგეგმილი) ღონისძიებების თემატიკა მედიაში: ასე მაგ., „ფილოსოფია გვიდაში“ (ბერლინი, თავისუფალი უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი), „ურთიერთპატივისცემა და აღიარება: ადამიანური ღირსება, როგორც სამართლის ცნება“ (ბრემენი), „მეცნიერების უტყუარობის

მრავალფეროვან სამყაროში პიოზიცია — გაცხდს საკუთარ ხედვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ის ტოლერანტობისა და მშვიდობის საფუძველია, და ამავედროულად, შემოქმედებით ენერჯის გამოავისუფლების საშუალება, რომელიც ავითარებს საზოგადოებას, იცავს ადამიანის უფლებებს“.

სწორედ ასეთი, ჭეშმარიტად ინტექტუალური და ფილოსოფიური პლურალიზმი მოგვცემს შესაძლებლობას დავსახოთ გზები უკეთესი მომავლისაკენ. ვისურვებდი, ეს და სხვა ინიციატივები, რომლებიც ფილოსოფიის მეშვეობით გვეხმარება გადავიზოროთ სხვა ადა-

მიანებთან თანაცხოვრების პრინციპები, გაზარებულ იქნას“. იუნესკოს გენერალური მდივნის 2015 წ. მიმართვაში ხაზგასმულია ფილოსოფიის დანიშნულებასა და ამოცანებზე, იუნესკოს სამომავლო გეგმებზე (ნ. 3). ამ თვალსაზრისით მკითხველს შემდეგ მნიშვნელოვან თეზისებს ვტავაზობთ: „ფილოსოფიის მსოფლიო დღის იდეა ფუფუნება რწმენას იმისა, რომ ფილოსოფიის შეუძლია შეიტანოს უმნიშვნელოვანესი წვლილი ადამიანთა უკეთილდღეობაში, მათ წინაშე მდგარი სირთულეების გადაწყვეტაში და მშვიდობის განმტკიცებაში“.

ფილოსოფიის შესახებ მრავალი გაუგებარი წარმოდგენის ფონზე იუნესკო ფილოსოფიის პირველ ადგილზე აყენებს და მიიჩნევს, რომ „ფილოსოფია არის საშუალება პიროვნული და კოლექტიური გათავისუფლებისათვის. იფიქრო და

მიადროულად იზროვნო იმის შესახებ, რომ რა არის აზროვნება - რაც არის კიდევ ფილოსოფია, ადამიანური შემოქმედების ყველა გამოვლინების ნამდვილი იმპულსია“.

ფილოსოფია ეს არის დიალოგი გაკვირვების საფუძველზე, რომლითაც აღსავსეა მრავალი ეპოქა, ხელოვნება და ლიტერატურა, დისკუსიები საზოგადოებაში, პოლიტიკის საკითხები.

იუნესკო ზრუნავს იმაზე, რომ „ფილოსოფია, ყველაზე ძველი მეცნიერება, ადამიანთა სულ უფრო ფართე წრეებისთვის გახდეს მისწავლადი, მონივრე ტექნოლოგიების გამოყენებით [...]“. გლობალური უდიდძროის შემოქრების მიზნით იუნესკო 2015 წ. აქცენტს აკეთებს ახალ საკომუნიკაციო საშუალებებზე, დისტანციური სწავლებაზე და სხვ. სექტემბერში მსოფლიო ლიდერები შეთანხმდნენ დღის წესრიგზე და იმსჯელებენ 2030 წლამდე მდგრადი განვითარების კონცეფციებზე. ეს გეგმა აყალიბებს კაცობრიობის განვითარების და მშვიდობის შესახებ ახალ ხედვას უახლოესი 15 წლის მანძილზე. ამ მიზნების განხორციელება ყველა ტრანსფორმაციის პროცესში. ეს ცვლილებები გვაძლავს ვეძიოთ სოცოცილის ახალი მეთოდები და შევეძინოთ უკეთესი სამართლიანი საზოგადოება. ამ ცვლილებებს შეუძლიათ შეაფერხონ ნდობა, შექმნან ახალი დაძაბულობა. ამ დროს ფილოსოფია ღირებული მოკავშირეა, რომელიც რეფლექსიურ განზრახვებსა და დიალოგის პრაქტიკას ყურდნობა. ამის საფუძველზე ჩვენ შესაძლებელია გვაქვს აღვიქვათ განსხვავებული აზრები და მიდგომები.“

ფილოსოფიის საერთაშორისო დღე 19 ნოემბერი 2015 World Philosophy Day UNESCO

კრიზისი“ (ახენი), „(და)მორჩილებლობა - პროტესტის ფორმების ლეგიტიმაციისთვის“ (კარლსრუე), „ადამიანის უფლებები დასავლურია?“ „თანაგრძნობა — ეთიკის გული“, „ეთიკა ციფრულ ლანდშაფტში“ (კიოლნი), „ეკონომიკისა და მშვიდობის კვლევა ფილოსოფიურ პერსპექტივაში“ (ჰაგენი), „შეგუება თუ მონაცემები: კლიმატური პრობლემებისადმი ჩვენი მოვალეობა“ (მიუნსტერი), „მე-20 საუკუნის მეცნიერების თეორია და თანამედროვე ნატურფილოსოფია“, „გლობალური სამოქალაქო განათლება — მსოფლიო მოქალაქის ფორმირება“ (ერლანგენის უნივერსიტეტი, ნიუნბერგი) და სხვ.

ყოველ წელს იუნესკო ფილოსოფიის მსოფლიო დღეს მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნავს მსოფლიო ერთ-ერთ ქვეყანაში და კონკრეტული თემით ეხმა-

ფილოსოფიამ ადამიანებს უნდა გაახსენოს აზროვნების საფუძველმდებარე პრინციპები. ყოველ დროს თავისი ამხსნელი საკვანძო მოვლენები აქვს, რომელიც ჩვენგან გადაწყვეტილებას მოითხოვს და ახალ პერსპექტივებს გვიხსნის. ფილოსოფიის ამოცანაც ის არის, რომ ამგვარი მოვლენები გამოავლინოს.

ფილოსოფიამ უნდა დასვას კითხვები. ნამდვილი ფილოსოფოსი სამყაროს ხედავს, როგორც კითხვებითა და პრობლემებით აღსავსეს. ფილოსოფიის ამოცანაა, რომ კითხვები მოხახოს და აღმოაჩინოს. მთავარი სწორედ კითხვებია. ხშირად ჩვენ მწვავე კითხვების ნაცვალად სტანდარტულ კითხვებს ვსვამთ, რომელთა შედეგებიც შესაძლოა ჩვენთვის შემოფოთბელიც კი აღმოჩნდეს. ფილოსოფია გვახსენებს იმით, რომ სხვაგვარად ვიზროვნით და უჩვეულო აზრებს მივცით შანსი არსებობისა. როგორ ვებრძოლოთ ფუნდამენტალიზმს, როგორ გავხდეთ ტოლერანტები და ა.შ. როგორ გადავალავთ „პატარა ადამიანების“ „თვითკმაყოფილების სივარიელე“, მისი პანია ვნებებისა და სიამოვნების სახით.

ფილოსოფოსს არ აქვს უფლება იყოს შემწყვარბელი უმცირესი ბოროტების მიმართაც კი, ის მარადიულად სიკეთის ძიებაში უნდა იყოს. ეს ჯერ კიდევ პლატონის ძველი იდეაა. სიკეთე კი იდეათა იდეა უნდა წარმოადგინდეს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში...“





ცივფასო სტუდენტები და კოლეგები, აგრარული და მეგობრული ტექნოლოგიების ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით გილოცავთ დამდეგ 2016 წელს, დაესწარი მრავალს, დაე, ეს წელი ყოფილიყო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივისათვის მრავალი შემოქმედებითი სიახლეების, წარმატებებისა და სიხარულის მომცანი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმდინარე 2015 წელს აღნიშნა დაარსებიდან 80 წლისათვის სათავედ თარიღი და ქვეყნის და კუთხის წინაშე საკმაოდ ტევადი და საინტერესო ანგარიშით წარსადა.

დიდა უნივერსიტეტის დამსახურება ეროვნული მეცნიერებისა და გა-

ლური დანადგარები ოჯახური და ფერმერული მეურნეობებისათვის, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისათვის, აჭარის მთიანი ზონის ტყეებში გავრცელებული მოცვის ფოთლი-საგან სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში ჩაის ნახევარფაბრიკატის მწარმოებელი მობილური მარტივი კონსტრუქციის ლუმელები, ციტრუსოვანთა ნაყოფის შენახვისა და ტრანსპორტაბელურობის გაუმჯობესებისათვის გამოყენებული ბიოპრეპარატები, სხვადასხვა მოდიფიკაციის მემბრანები მრავალპროფილური დანიშნულებით გამოყენების რეჟიმით, სასოფლო სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის გამოკვლევისა და ხარისხის მართვის ტექნოლოგიები, დღეინის წარმოების ტექნოლოგიები, ნერ-

## აგრარული და მეგობრული ტექნოლოგიების ინსტიტუტი გილოცავთ შობა-ახალ წელს

ნათლებს სფეროების განვითარებაში, როგორც მეცნიერული კვლევების განხორციელების, ისე მალალკალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

უნივერსიტეტმა ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების სფეროში ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების პირობებში უზრუნველყო აჭარაში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტთან ინტეგრაციის პროცესის მალალეფექტურად წარმართვა, მათი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შენარჩუნება-გაფართოება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და რაც მთავარია, მომუშავე პერსონალის ყველა კატეგორიის შრომის ანაზღაურების პირობების გაუმჯობესება.

აგრარული და მეგობრული ტექნოლოგიების ინსტიტუტმა 2015 წელს შესანიშნავი საჩუქარი მიიღო გარემონტებული შენობის სახით, რომელშიც ყველა პირობაა სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების მალალხარისხოვნად შესრულებისათვის, მეცნიერების, განათლებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის გააქტიურებისათვის.

ჩვენი ინსტიტუტისათვის 2015 წელი მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების შედეგების გაცნობის მიზნით სხვადასხვა რანგის დაინტერესებული პირები გვეწვივნენ (მათ შორის უცხოეთიდან) და საკმაოდ პოზიტიური შეფასებები დავიმსახურეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ქალბატონ თამარ სანიკიძის სტუმრობა, რომელმაც ჩვენი საქმიანობის შედეგებისა და მომავალი სამოქმედო გეგმების გაცნობის შემდეგ ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის დახმარება დაგვიპირდა. ჩვენ სამინისტროსგან უკვე მივიღეთ მოთხოვნა საჭირო მონაცემებისა და ნადაგარების შექმნაზე წერილობითი განაცხადის მინოდების თაობაზე, რაც ნიშნავს, რომ ქალბატონმა თამარ სანიკიძემ თავისი დანაპირების შესრულება დაიწყო.

ინსტიტუტის მეცნიერთა, ინჟინერ-ტექნიკური და დამხმარე პერსონალის კომპეტენტურობის მალალი დონე, თეორიული მომზადებისა ცდა პრაქტიკული გამოცდილების, კაბინეტ ლაბორატორიების, საპილოტე ტექნოლოგიური საამქროს, საკონსტრუქციო-ექსპერიმენტული უბანი სტუდენტთა სასწავლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელების, ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების მომზადების, მეცნიერული კვლევებში ჩართვის ფართო ასპარეზს ქმნის.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამკალიბრებული მობილური და სტაციონარ-

გების გამოყენების ტექნოლოგიები, სხვადასხვა მეთოდური და სასწავლო-საკონსულტაციო პროგრამები, ცალკეული პროექტების, პროგრამების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, აგრობიზნესში ეკონომიკური კვლევების მიმართულებები არის ის რესურსი, რომელიც უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის გარანტიებს ქმნის.

ჩვენი ინსტიტუტის 2015-2019 წლების სამეცნიერო-კვლევითი და დანერგვითი სამუშაოების თემატური გეგმა განიხილა და უმალესი შეფასება მისცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის განხორციელებაში ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებთან ერთად ჩართულია უნივერსიტეტის როგორც სასწავლო მიმართულებაში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სხვა სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები, რაც ნათელი მაგალითია მთლიანად უნივერსიტეტის ინტელექტუალური პოტენციალის სრულყოფილად გამოყენების და შემდეგ ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული სამეცნიერო სამუშაოების შესრულებაში.

ინსტიტუტის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საინტერესო და მიმზიდველი იყოს სამეცნიერო კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი საქმიანობის ჩართულობა, მიეცეთ საშუალება მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკით გაიმყარონ.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს მიღწეული წარმატებების შენარჩუნებისა და შემდგომი გაფართოებისათვის.

ჩვენი უნივერსიტეტის დიდ კოლექტივს შემდგომი დიდი წარმატებების მიღწევის ამბციები გავაპირებ, რომელიც უპირველეს ყოვლისა ქვეყნის სამსახურისათვის ბრძოლაში იქნება ასახული. ჩვენთვის, ყოველი დღე, ყოველი ახალი წელი ახალი მეცნიერული კვლევების, კადრების მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის უნდა იყოს გამოყენებული.

ჩვენი კოლექტივის სახელით უნივერსიტეტის მთელს შემადგენლობას გილოცავთ დამდეგ 2016 წელს და გისურვებთ ახალ წარმატებებს ყველსფეროში.

**პატივისცემით, აგრარული და მეგობრული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი რაშლ გომციონიძე**  
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ მიქაბაძე

# „ახლავ გაგზავნის უნივერსიტეტს ძირძველი ბრალიცია“

**ნომრის სტუმარია ბათუმის მე-7 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი შორენა ძონიაძე.**

— ქალბატონი შორენა, როგორ ხდებდა ბათუმის მე-7 საჯარო სკოლა ახალ, 2016 წელს?

— სიძვე ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლა ახალ 2016 წელს საკმაოდ წარმატებულად ხდებდა. 2014-2015 სასწავლო წლის 43 კურსდამთავრებულიდან 40 საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. ჩვენი სკოლის 6-მა კურსდამთავრებულმა მოიპოვა სახელმწიფოს მიერ სწავლის 50%-იანი დაფინანსება. მოგახსენებთ რომ ჩვენი სკოლა მონაწილეობდა სხვადასხვა ოლიმპიადაში, სადაც გვექონდა რიგი წარმატებები. სულ ახლახან, სოხუმის ფორუმ თეატრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „არა ძალადობას“, მე-7 საჯარო სკოლამ ქალაქის მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა. გესურს, რომ ასეთივე წარმატებული იყოს ჩვენთვის 2016 წელი.

— ახალი წლისთვის რა ტიპის ღონისძიებებს გეგმავთ?

— ახალი წლისთვის დაგეგმილია უამრავი საკლასო თუ სასკოლო ღონისძიება, სახალისო ვიქტორინები და მეჯლისები.

— როგორია მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეების აკადემიური მოსწრება მიმდინარე სემესტრის ბოლოს?

— მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე გასულ წელთან შედარებით უკეთესია. განათლების სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლებას, რაც პირდაპირ კავშირშია სწავლასწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან.



— გყავთ თუ არა ამა თუ იმ სფეროში გამორჩეული მოსწავლეები?

ჩვენი წარმატებული მოსწავლეები სხვადასხვა სფეროში გყავს. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადში მოიპოვეს წარმატებები ჩვენი სკოლის 11 კლასის მოსწავლეებმა: ნიკა შერვაშიძემ და ლერი ქონიამ. ასევე, გყავს აჭარის და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურსში წარმატებული მოსწავლეები, სულ ახლახან ჩვენი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ანა მაქაჯიანიამ დიდ წარმატებას მიაღწია რუსულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსში. 4-7 იანვარს ანა და მისი მასწავლებელი მიწვევნილი არიან ქალაქ მოსკოვში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად (ისინი საუკეთესო ათეულში მოხვდნენ). ხელოვნების უნივერსიტეტთან არსებული კლუბი „24“, რომელიც ატარებს სასწავლო შემეცნებით ტურნებს ქალაქის სკოლებს შორის, ჩვენი სკოლის გუნდი პირველი ადგილისათვის იბრძვის.

— ქალბატონი შორენა, თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღის ის-

ტორია სასკოლო ცხოვრებაში...

— ჩვენი ჩვეულებრივი სასწავლო დღე არაფრით განსხვავდება არსებული სხვა დღეებისაგან. სასწავლო დღე დილის 9:00 საათზე იწყება, ყველა მასწავლებელი შედის შესაბამის საკლასო ოთახში. სკოლა აქტიურად ერთვება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში, არსებობს პლუსებიც და მინუსებიც. თითოეული პლუსი საოცრად დადებით მუხტს გვანიჭებს, ხოლო მინუსისთვის აქტიურად ვიხმავთ და ვეძებთ გამოსწორების გზებს.

— 2015 წელს ჩვენმა უნივერსიტეტმა 80 წლის იუბილე იზეიმა. როგორ მიულოცავთ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს?

— მე-7 სკოლის პედაგოგთა უმრავლესობა სწორედ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ვართ. ვულოცავთ ჩვენს დედა უნივერსიტეტს 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ, რომ სკოლასა და უნივერსიტეტს შორის უფრო გაღრმავდეს ურთიერთობები. თქვენი ძალისხმევით კვლავაც ბევრი ღირსეული და წარმატებული მოქალაქე შემატდებოდა ჩვენს ქვეყანას.

— როგორ მიულოცავთ დამდეგ შობა ახალ-წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს?

— მიხდა ჩვენი კოლექტივის სახელით მიულოცო ახალი წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ვუსურვებ კვლავ უნივერსიტეტის ამ უნივერსიტეტს ძირძველი ტრადიციები, ბევრი ახალგაზრდისათვის ესწავლების წარმატების ფორმულა და დამეკვიდრების ღირსეული ადგილი ქვეყნის წინსვლის საქმეში.

## საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიური ხლინია

2006 წელს უნივერსიტეტში პირველად ამოქმედდა ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. 2009 წლიდან ამოქმედდა ფსიქოლოგიის საბაკალავრო - საგანმანათლებლო პროგრამა. წლების განმავლობაში უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც ხელს უწყობდა პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცოდნის გავრცელებას და დანერგვას. უნივერსიტეტის ფსიქოლოგები აწარმოებდნენ სარეაბილიტაციო, საინტერვენციო და საკონსულტაციო სამუშაოებს.

2016 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იხსნება ფსიქოლოგიის კლინიკა. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. დიდი ხანია ვემზადებით და ვამზადებთ კადრებს კლინიკისათვის. კლინიკის მთავარი მიზანია ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების ბაზაზე ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. სტუდენტთა სასწავლო-საწარმო პრაქტიკის განხორციელებისა და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნის მიზნით განხორციელდება მრავალფეროვანი მომსახურება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, როგორცაა: (ქცევითი თერაპია), მშობელთა გაძლიერების პროგრამა, შრომითი უნარების განვითარების პროგრამა, ენისა და მეტყველების თერაპია და ა.შ.

კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- ა) აუტიზმისა და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა შეფასება და აბილიტაცია;
- ბ) ადრეული განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ან რისკ-ჯგუფში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფა შესაბამისი განმავითარებელი ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობებით, რასაც თან ახლავს მშობლის/მეურვის გაძლიერება ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაში;
- გ) სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრ-

რდებში შრომითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა;

დ) ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით;

ე) სპეციალისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიცავს მოზრდილთა განათლების სხვადასხვა ეტაპის კომპონენტებს, როგორცაა სტუდენტების პრაქტიკა, სპეციალისტების მომზადება, სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგისა თუ სუპერვიზიის გამოყენებით;


ვ) პიროვნების განვითარების სფეროში ახალი მიმართულებების, მეთოდების სწავლება და მათი გამოყენება, მათ შორის ქცევით-ემოციური განვითარების პროგრამები, ინფორმაციული ტექნოლოგიების, იმთერაპიის, დელფინოთერაპიის, ენისა და მეტყველების თერაპიისა და ა.შ.;

კლინიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა:

- თანამედროვე კვლევაზე დაფუძნებული მეთოდების სწავლებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა;
- ფსიქოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანების, სასწავლო კურსების/პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა.
- პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, მალალკვალიფიციური კადრების მომზადება.
- იფუნქციონიროს, როგორც სასწავლო ბაზამ და ხელი შეუწყოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების მომზადებას და პრაქტიკის სპეციალისტების გადამზადებას.
- გადაიქცეს სრულფასოვან ადგილობრივ და საერთაშორისო ცენტრად პიროვნების განვითარების კუთხით წარმოებულ კვლევების დარგში, მოიზიდოს უცხოელი კოლეგები, წამყვანი უნივერსიტეტები და სკოლები თანამშრომლობისთვის.
- კლინიკაში იფუნქციონირებს ფსიქოლოგიური მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები და ტრენინგები, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიის და სხვა.



## ქუდს ვუხდი



ქუდს ვუხდი და სიყვარულით ვულოცავ 80 წლის მშობლიურ უნივერსიტეტს 2016 წლის შემობრძანებას. ვერძის წელიწადი ნავიდა, მაიმუნის წელიწადი მოვიდა. თუ იგი ჩვენი ძალიან შორეული წინაპარია, მაშინ არ უნდა იყოს ცუდი წელიწადი.

გულწრფელად ვულოცავ სტუდენტ-ახალგაზრდობასა და პროფესორ-მასწავლებლებს შობა-ახალ წელთან ერთდ უნივერსიტეტის გადარჩენას, რომელსაც საფრთხე დაემუქრა სააკაშვილის რეჟიმის დროს და მისი იდეოლოგები აქაც არ გვაკლდა. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ამ გადარჩენაში ჩემი მცირე წვლილიც არის. ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის შემოსვლამ კი, საბოლოოდ გადაგვარჩინა და სამშვიდობოზე გავიყვანა. ღმერთის ნებას წინ ვერაფერი აღუდგება. როგორც ერთი ჩვენი გამოჩენილი მწერალი ამბობს, სიმართლეს უფროსი არ ჰყავს. მშვიდობა სუფევდეს უნივერსიტეტის სახლსა შინა. შოთა ზოიძე



ახალ წელს ვულოცავ ჩვენს ქვეყანას — ერს, ვუსურვებ მშვიდობიან და ბედნიერ მომავალს; უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს, ლექტორ-მასწავლებელს, მეგობრებს, განსაკუთრებით სტუდენტ-ახალგაზრდობას ვუსურვებ ბედნიერებას სიხარულს, წარმატებებს სწავლასა და შრომაში. მაღლიერებას გამოვხატავ მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ. ვარ ბედნიერი და ამაყი, რომ ვარ უნივერსიტეტელი, რომელთანაც მაკავშირებს მთელი ჩემი ცხოვრება და მოღვაწეობა, აურაცხელი კარგი მოგონება. დაე, მუდამ კაშკაშებდეს მასში ცოდნის ლაპარაკი. ემერიტუსი პროფესორი რეზა ზოსიძე

## ახალი საბაზო ხლინიის მოლოდინში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტი ამზადებს დიპლომირებულ სტომატოლოგებს. ასევე ხორციელდება დიპლომ-შემდგომი განათლების გრძელვადიანი და შემოკლებული სარეზიდენტო პროგრამები თერაპიულ სტომატოლოგიაში, ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, უახლოეს პერიოდში დაემატება ქირურგიული სტომატოლოგიის პროგრამაც. წლების განმავლობაში სასწავლო პროცესის კლინიკური ნაწილი ძალზედ შეზღუდულად მიმდინარეობდა სასწავლო ბაზის არასრულყოფილების გამო. ამ მიმართულებით გვეხმარებოდნენ აფილირებული სასწავლო კლინიკური ბაზები. ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა ქორიძის დიდი მონდობებითა და ძალისხმევით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადანიჭვით უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაგვიკეთეს საჩუქარი. კერძოდ, დაიწყო ახალი საუნივერსიტეტო საბაზო კლინიკისათვის სერიოზული სარემონტო სამუშაო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პირველ სართულზე, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. ეს იქნება თანამედროვე სტანდარტების, უახლესი აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი კლინიკა თერაპიული, ორთოპედიული და ქირურგიული კაბინეტებით, სასტერულიზაციოთი და ვიზოგრაფიული კვლევის კაბინეტით. აქვე იქ-

ნება სასწავლო ოთახები აღჭურვილი მულაჟებით, სადაც სტუდენტები ათვისებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს საფანტომო სწავლების ფორმით.



კლინიკაში სპეციალისტებად იმუშავებენ ძირითადად დეპარტამენტის თანამშრომლები თეორიული და პრაქტიკული მუშაობის სოლიდური გამოცდილებით. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული კლინიკის დირექტორი ფ. ჯაფარიძე, რომელიც ამავდროულად მეთვალყურეობს სარემონტო სამუშაოებს და კლინიკის ტექნიკური აღჭურვილობის შექმნის პროცესებს. ჩვენ ასევე ვგეგმავთ უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს შევთავაზოთ შეღავათიანი სტომატოლოგიური მომსახურება და ამასთან ერთად ვითანამშრომლოთ სამედიცინო სადაზღვევო კომპანიებთან. გადანიჭვითი გვაქვს საუნივერსიტეტო ბაზაზე მომავალში ჩავატაროთ ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონის ტრენინგები, მასტერ-კლასები როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ პარტნიორებთან ერთად. აღნიშნული სასწავლო კურსები არა მხოლოდ ჩვენი პედაგოგებისა და სტომატოლოგებისათვის, არამედ სტუდენტებისთვისაც იქნება აქტუალური და ინფორმაციული. კლინიკის ამოქმედება მნიშვნელოვან როლად იქცევა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, დიდ წვლილს შეიტანს სტუდენტების დარეზიდენტების სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში და ასევე მოკრძალებულად გაზრდის უნივერსიტეტის ეკონომიურ შემოსავალს.

და მეთვალყურეობს სარემონტო სამუშაოებს და კლინიკის ტექნიკური აღჭურვილობის შექმნის პროცესებს. ჩვენ ასევე ვგეგმავთ უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს შევთავაზოთ შეღავათიანი სტომატოლოგიური მომსახურება და ამასთან ერთად ვითანამშრომლოთ სამედიცინო სადაზღვევო კომპანიებთან. გადანიჭვითი გვაქვს საუნივერსიტეტო ბაზაზე მომავალში ჩავატაროთ ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონის ტრენინგები, მასტერ-კლასები როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ პარტნიორებთან ერთად. აღნიშნული სასწავლო კურსები არა მხოლოდ ჩვენი პედაგოგებისა და სტომატოლოგებისათვის, არამედ სტუდენტებისთვისაც იქნება აქტუალური და ინფორმაციული. კლინიკის ამოქმედება მნიშვნელოვან როლად იქცევა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, დიდ წვლილს შეიტანს სტუდენტების დარეზიდენტების სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში და ასევე მოკრძალებულად გაზრდის უნივერსიტეტის ეკონომიურ შემოსავალს. **ფინა ბაძრაძე, პროფესორი, საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

## რეზო ჯაბნიძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ახალგაზრდა მეცნიერებათა ახალგაზრდა მეცნიერების

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე აკადემიის ახალი წევრები აირჩიეს. კონსკურსში სამმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ესენია მეცნიერებათა დოქტორები პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე და აჭარის აგრარიკოს მეცნიერთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რეზო ჯაბნიძე. ისინი აკადემიის წევრ-კორესპონდენტობიდან აკადემიის ნამდვილი წევრის ანუ აკადემიკოსის ხარისხში გააგრძელებენ მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ აკადემიის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ითვლება საქართველოს ეროვნულ აკადემიასთან ერთად სახელმწიფო ორგანიზაციად. სუბტროპიკული მეცენარეობის ახალგაზრდა თაობის მეცნიერ-მკვლევართა აღმზრდელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რეზო ჯაბნიძეს მისი უახლოესი მეგობრები, ვულოცავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევას, რომლის განვლილი ნაყოფიერი შრომითი საქმიანობა ამ დიდი აღიარების დასტურია. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, შემდეგ ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-



კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები - ასეთი იყო მახინჯაურელი ყმანცილის, სწავლული აგრონომის განსწავლის გზა 1970 წლიდან 1995 წლამდე. 1996 წელს მიენიჭა პროფესორის ნოდება და დაიწყო მისი შრომითი საქმიანობის აქტიური ფაზა. მალევე აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1997 წელს - საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 2000 წელს - რუსეთის აგრარული განათლების აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 2011 წელს - საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ეს მისმა ნაყოფიერმა სამეცნიერო-კვლევითმა პუბლი-

ცისტურმა მოღვაწეობამ განაპირობა. გამოაქვეყნა 180-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ოთხი სახელმძღვანელო: „ჩაი და ციტრუსები“; „სასოფლო სამეურნეო ეკოლოგია“; „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია“; „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“, ასევე შეიღობა მონოგრაფია, ხუთი რეკომენდაცია და 100-მდე პუბლიკაციური წერილი პერიოდულ პრესაში. ნაშრომთა ნაწილი უცხოეთშიცაა გამოქვეყნებული. არის 20-მდე სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის რედაქტორი, რეცენზენტი. პროფესორი რეზო ჯაბნიძე დღეს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საგანმანათლებლო სამივე საფეხურის პროგრამების ხელმძღვანელი და ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა. 2015 წლის თებერვალში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა აჭარაში. იგი არაერთხელ გამოსულა საქართველოსა თუ საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო კონგრესებსა და სამეცნიერო კონფერენციებზე. მი-

სი ხელმძღვანელობით შეიღმა ასპირანტმა და დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია, არის ოთხი სამეცნიერო საერთაშორისო გამოცემის, ასევე ჟურნალების - „ეკონომიკა“, „აგრარული საქართველო“, „ხანძა“, „აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგია“ რედაქციის წევრი, ენციკლოპედია „აჭარის“ მთავარი რედაქციის წევრი, ასევე აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიასთან არსებული ფერმერული მეურნეობის განვითარების, ფერმერთა სწავლებაკონსულტირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ მეცნიერული კონსულტანტი, არჩეულია ბაქოს და ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად.

რედ. იგი კვლავ აგრძელებს აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, ძირითადად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეცნიერ-მკვლევარის სამეცნიერო ნაშრომები გამოირჩევა ღრმა ანალიზით და სწორი დასკვნებით, მეცნიერული კვლევის მეთოდების ზედმიწევნით გამოყენებით. ბატონი რეზო დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, აკაკი წერეთლისა და იაკობ გავგაბაშვილის მედლებით, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის საპატიო სიგელით, არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე, ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი. იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი უახლოესი მეგობრები გულთბილად ვულოცავთ ბატონ რეზოს დიდ აღიარებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს მშობლიური ქვეყნის, ქართული აგრარული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

მეგობრების სახელით, პროფესორები: **დავით ბარათაშვილი, ზაურ ფუტყარაძე, თემურ რევიშვილი, როლანდ კოპალიანი, ზურაბ მიძალაძე, ანთაზ ძიძაძე, ოთარ შანიძე, შოთა ლავაშაძე, რეზო მანველიძე, ოთარ ღოგიძე, ვაჟა თოდუა, სულიკო ბერიძე, გურამ მთარაძე.**





# კოლოცაუთ ახარ — 2016 წელს!

ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, რომელსაც ყველა განსაკუთრებული სიხარულით ელის. ამ დღეს ყველა ცდილობს, დაივინოს ყველაფერი ცუდი, მადლიერებით გააცილოს ძველი წელი და დიდი მოლოდინით დაელოდოს ახალი წლის შემობრძანებას. საინტერესოა, როგორი იქნება 2016 წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის.

2016 წელი წითელი მაიმუნის წელიწადია. აღმოსავლეთში მაიმუნის მოქმედებებსა და ხასიათს ადარებენ ისეთი ადამიანის გონებას, რომელსაც არ გააჩნია შინაგანი კონცენტრაციისა და მედიტაციის უნარი, აზროვნების ქაოსურობიდან გამომდინარე. დასავლეთის ქვეყნებში მაიმუნს ადამიანის კარიკატურას უწოდებენ. აზიის ქვეყნებში კი თვლიან, რომ იგი თავისი ხასიათისას სხვადასხვა ფორმებს აერთიანებს, რის გამოც რთულია მის ცვალებად ნატურაში სტაბილურობის პოვნა, ამიტომ მაიმუნის წელიწადი მოულოდნელი ცვლილებებით არის აღსავსე. 2016 წელს ადამიანები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების დაპირისპირების წინაშე დადგებიან, ასეთ პერიოდში შესაძლებელია შეცვალოთ გეგმები, გადაწყვეტილებები, წარმოდგენები ძნელად კონტროლებადი სურვილების გამო. ამასთანავე, განახლდებიან ისეთი თვისებები როგორც არის გამოგონებლობა, იმპროვიზაციის უნარი, ორიგინალურობა, სიახლეებისადმი მიდრეკილება, კომპრომისების უნარი. ასეთ წელიწადში უფრო ადვილდება ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა.

ამ წლის დევიზი ასეთია: ეძებე სიახლე და ნუ იტყვი უცებ უარს გიჟურ წინადადებებზეც კი — ეს მაიმუნის პრინციპებია.

სოციალურ-ეკონომიკური კუთხით ავანტიურული ოპერაციები, აზარტული თამაშები, სპეკულაციები ხელს შეუწყობენ სარისკო და გონება-მახვილური გადაწყვეტილების მიღებას, რაც რადიკალურ ცვლილებებს გამოიწვევს ბიზნესში და პროფესიონალურ საქმიანობაში. მაიმუნს არ უყვარს მშვიდობა, უნიჭო, პასიური ადამიანები.

პირველ რიგში ახალ წელს უნდა შევხვდეთ ძალიან მხი-



რულად, იმიტომ რომ რაც უფრო დიდი დოზით გვექნება იუმორი მით უფრო მხიარული და კარგი წელი გვექნება.

რაც შეეხება საახალწლო სუფრას, ყველას უნდა ჰქონდეს ბანანი, როგორც მაიმუნის მოზიდვის ერთ-ერთი საშუალება და ზოგადად რაც უფრო მეტი ეგზოტიკური ხილი იქნება სუფრაზე მით უკეთესი. რა საკვირველია წითელი ფერი პრევალირებს და წითელი გახლავთ უმთავრესი ატრიბუტი, ასევე ყვითელი, ოქროსფერი და მუქი შინდისფერი ტონალობა შემოდის წინა პლანზე.

**საინტერესოა, როგორი იქნება მაიმუნის წელიწადი კონკრეტული ნიშნებისთვის:**

**პირთხისთვის** ძალიან კარგი წელიწადია, რომელიც კმაყოფილებას და ბედნიერებას მოგიტანს, იმიტომ რომ მიიღებთ წარსულში თქვენი ძალისხმევისა და შრომისთვის შესაბამის საჩუქრებს.

შეადარებთ კარგი წელიწადია **ხარების** უმრავლესობისათვის, თქვენ შეძლებთ წინა წლის არასტაბილური მოვლენების კონპესირებას. მინდა აქვე აღვნიშნო რომ ეს წელი განსაკუთრებულად კარგია ბინის შესაძენად და საოჯახო-სანათესავო ურთიერთობების გასაძლიერებლად. ასევე, მოსალოდნელია ახალი ვაკანსიების გამოჩენა.

**ვეფხვისთვის** ურთიერთწინააღმდეგობებისა და რთული წელი იქნება. აქ წარმატების მისაღწევად დაგჭირდებათ დიდი მოთმინებისა და ინტუიციის გამოვლენა, რათა გვერდი აუაროთ სხვადასხვა დაგებულ ცხოვრებისეულ ხაფანგებს. აქედან გამომდინარე ცოტა მეტი წინდახედულობა და სიფრთხილე არის საჭირო.

რაც შეეხება **კატის** (იპონურად კურდღელი) წლით დაბადებულებს, საკმაოდ ილბიანი წელი ელოდებათ წინ, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი ნიჭისა და უნარის მეტად რეალიზებას და ამიტომ ცოტა უშოშრად და აქტიურად იმოქმედეთ. გამოიყენეთ ის მოულოდნელი შესაძლებლობები, რომელიც ამ წლის განმავლობაში მოგეცემათ ბედილბლის შეცვლის კუთხით. მაიმუნის წელი განსაკუთრებით წარმატებული იქნება მათთვის ვისაც შეუძლია კოლექტიური მუშაობა.

რაც შეეხება **დრაკონს**, მრავალფეროვანი მოვლენების წელიწადი იქნება წინა წელთან შედარებით. მთელი წლის განმავლობაში თქვენ მოგიხდებათ მონანილოვების მიღება არა ერთ საჭირობოროტო საკითხებში, რომელთა გადადება შემოდგომისთვის იქნებოდა მეტად სასურველი. დიდ დროს და ენერგიას წაიღებს ახალი ურთიერთობები, მაგრამ ეს წელი 2015 წლისგან განსხვავებით დაგეხმარებათ გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწიოთ.

**გვილის** წელიწადში დაბადებულთათვის მთლიანობაში კარგი წელი იქნება. ბრძენი გველი იპოვის მისი გეგმებისა და სურვილების შემსრულებლებსა და დამხმარეებს. განსაკუთრებით წარმატებული იქნება წელიწადი მათთვის, ვინც საკუთარ თავს წარმოაჩენს როგორც მშვიდობისმყოფელი, მრჩეველი,

შუამავალი, საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი. წლის დევიზი: აქტიური ნეიტრალიტეტი და ბრძნული სამართლიანობა.

**ცხენის** წელიწადში დაბადებულთათვის 2016 წელი დაკავშირებული იქნება წარმატებასთან, აღიარებასთან. თქვენი იდეები და გეგმები მოიტანენ კარგ მატერიალურ ეფექტს, მათ შორის ირგვლივ მყოფ ადამიანთათვისაც. წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელია შემოსავლი



და წამოწყებები მოექცევიან კრიტიკის ქარცეცხლში. ეს ერთგვარი კოსმიური გამოცდაა მათი მართებულობისა და სიმყარისა, ამიტომ ამ უამრავი იდეებიდან და გეგმებიდან ყველაზე რეალური გეგმების ამორჩევა მოგიხდება, რათა მათი განხორციელება არ დასჭირდეს ზედმეტად ბევრი დრო და ძალისხმევა. მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ საშუალო წელიწადია.

თავად **მაიუნისთვის** ეს წელი რა თქმა უნდა კარგი წელიწადია და ყველაზე კარგად ალღოს ყველას ცვლილებას სწორედ ამ წელში დაბადებულები აულებენ. იაქტიურეთ ახლა თქვენი დროა!

**გაგლისთვის** ეს წელიწადი ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდია ახალი წამოწყებებისათვის და წარმატებისთვის. სარისკო მოქმედებებმა და პროექტებმა შეიძლება გამოიწვიოს ძალის და დროის ტყუილუბრალოდ ხარჯვა. ანუ ზედმეტად აქტიურობაც არ იქნება ალბათ სასიკეთო.

**ძაღლის** წელში დაბადებულებს კარგი წელიწადია კარიერული განვითარებისათვის, წარმატებისთვის, ფინანსური მდგომარეობის განვითარების კუთხით. თქვენი უნარი მეგობრობისა და თანამშრომლობისა თქვენკენ მოიზიდვას ახალ პარტნიორებსა და სპონსორებს.

**ტანის** ანუ ღორის ნიშნის ადამიანებს მთლიანობაში შეიძლება ითქვას რომ კარგი წელიწადი ელით. ვერ ვიტყვი რომ 2015 წელს აჯობებს. მინიმალური კაპიტალ დაბანდებით და ძალისხმევით შეძლებთ საკმაოდ კარგი შედეგების მიღებას. წარმატებისა და განვითარებისთვის საჭირო იქნება ახალი პარტნიორების, ხელმძღვანელობისა და კოლეგების პოვნა, რადგანაც ძველი ურთიერთობები აღარ გამოიჩევიან სიმყარით, რომელიც თქვენს წინსვლას და წარმატებას ესაჭიროება.

ეს რაც შეეხება აღმოსავლური ზოდიაქოს ნიშნის შემთხვევას.

**ჩაქაპორი:**  
**იოსებ სანიკიძე**  
**ნომრის ჩაქაპორი:**  
**ნესტან მამუჭაძე**



**saredaqi o kol egia:**  
nana cecxl aZe, inga Samil iSvil i naTia wkl aSvil i, nino dol iZe murman gorgoSaZe, davi T baraTaSvil i guram Caganava, SoTa mamul aZe gugul i dumbaZe, nugzar RomiZe

**გაზეთი დიპაჟლა გამომცემლობა „საგოზლოში“**  
2 18 07 76; 5 99 95 31 90  
მის.: ქ. თბილისი, რობაქიძის 7